დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია სოხაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

თამთა მურვანიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

თამარი ოღლიშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ციალა ჩიტაია-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

დალი კერესელიძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

სოფიო გელაშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

შორენა ბადურაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

თეონა შერაზადიშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ლია სვიმონიშვილი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ალექსანდრე ჩახნაშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ქეთევან მეგრელიშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	245429503

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. ბათუმი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ბათუმი, წმინდა სევერიანე აჭარელის N3
საფოსტო ინდექსი	6000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/308?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Batumi16@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	555567102

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 22 მაისის N MES 4 25 0000564151 ბრძანება

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	25-26 ივნისი 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქ.ბათუმი, წმინდა სევერიანე აჭარელის N3
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ქ.ბათუმი, წმინდა სევერიანე აჭარელის N3
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ქ.ბათუმი, წმინდა სევერიანე აჭარელის N3

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2025 წლის 25 და 26 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ქ. ბათუმის N16 საჯარო სკოლაში. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, საქმიან, თანამშრომლობით და კეთილგანწყობილ გარემოში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. სკოლამ ვიზიტამდე წარმოადგინა ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა. ასევე, განხორციელდა სკოლის მატერიალური რესურსების დათვალიერება. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნობრივი მიმართულების მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. დაწყებითი საფეხურის

ექსპერტმა უზრუნველყო საფეხურზე შემავალი საგნების შეფასების რევიზია. შეისწავლა ქართული ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და მე და საზოგადოების საგნობრივი მიმართულების კურიკულუმები. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი და თავმჯდომარე გაესაუბრენ სკოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, მასწავლებლებს, ბუღალტერს, ექიმს, სპეციალურ მასწავლებელს, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარეს და სკოლის სხვა წარმომადგენლებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია ვიზიტის დროს გამოკვეთილი მიგნებების შესახებ.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლაში ვიზიტის დროს განსაკუთრებით გამოიკვეთა სკოლის დირექტორის, როგორც ადმინისტრაციული ლიდერის როლი. მისი საქმიანობის შედეგად სკოლაში შექმნილია თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. მისი საქმიანობა არის ორიენტირებული სკოლის მუდმივ განვითარებაზე, მოსწავლეების ინიციატივების ხელშეწყობაზე, რის გამოც მისაბაძია არამარტო სასკოლო საზოგადოებისთვის, არამედ თემისთვის. იგი ხელს უწყობს დასაქმებული მასწავლებლების კარიერულ ზრდას. სკოლა ჩართულია როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა სტრუტურების მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა პროექტებში, არამედ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებსა და პროექტებში. სკოლის დირექტორი წარმოადგენს ერთგვარ მოტივატორს როგორც სკოლის თანამშრომლებისათვის, ისე მოსწავლეებისათვის. სკოლის წარმატების დასტურია ის ფაქტიც, რომ მასზე მოთხოვნა იზრდება, რამაც გამოიწვია უკანასკნელ პერიოდში მოსწავლეების რიცხოვნობის ზრდა. აგრეთვე, გამორჩეულია სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობა. თვითმმართველობის თავმჯდომარისა და წევრების ინიციატივითა და ძალისხმევით სკოლას

განხორციელებული აქვს მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი აქტივობები. მათ შორის ყოველთვიული ბეჭდითი ჟურნალი ,,მაშასადამე“, კონო-კლუბი და სხვა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 2320	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N--		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N--		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი საფეხური)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N--		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N---		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.09.2025) უზრუნველყოს დაწყებით საფეხურზე, ხელოვნებასა და სპორტში შესაბამისი კვალიფიციკაციის მქონე მასწავლებლებისათვის საათების განაწილება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (18.07.2026) უზრუნველყოს ექიმის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება და შესაბამისი კადრის შერჩევა.
3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (18.07.2026) უზრუნველყოს ექიმის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება და შესაბამისი კადრის შერჩევა.
3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები,	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.09.2024) სრულად ასახოს ვებ-გვერდზე ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაცია მათ შორის პროგრამები და მხარდაჭერის სერვისები, ქცევის წესები, ადაპტაციის მექანიზმები, შინაგანაწესი, მოსწავლის ჩარიცხვისა და ამორიცხვის წესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სხვა.

	გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(დაწყებითი საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულ ვადაში (15.09.2025) უზრუნველყოს დაწყებით საფეხურზე ხელოვნებასა და სპორტში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებისათვის საათების განაწილება.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული იქნას სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის პერიოდულობა. სკოლამ უზრუნველყოს ერთწლინი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენა.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციებ მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლამ თანამდებობრივი ინსტრუქციაში განსაზღვროს საშტატო განრიგით გათვალისწინებული ექთნის ფუნქციები.
3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სკოლამ მოახდინოს კორექტირება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის პირველ მუხლში, სადაც ზოგად დებულებებში მითითებულია ქ. თბილისის საჯარო სკოლა
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც	სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღება.

	არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი საფეხური)*	*რჩევა*
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის** რჩევით უფრო სრულყოფილ ინსტრუმენტად ჩამოყალიბების მიზნით, სასურველია კიდევ ერთხელ გადაიხედოს საგნობრივი სტანდარტები. დაზუსტდეს სასწავლო ერთეულის (ცნება/ ქვეცნება, თემა, საკითხი, დავალების იდეა/პირობა(ეს იქნება კომპლექსური დავალება თუ სხვა შემოქმედებითი პროდუქტი, კონტექსტ-მაგალითები და რესურსები...) შესაბამისობა სტანდარტთან და კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის ველთან. (მაგ:მე-3 და მე-4 კლასის მათემატიკის კურიკულუმებში დაზუსტდეს სავალდებულო თემები და თითოეული თემის შესაბამისად აისახოს შუალედურ მიზნად მოაზრებული შემოქმედებითი პროდუქტი.)
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	**ტექნოლოგიების** ექსპერტის რჩევით სასურველია, მასწავლებელმა მომავალში დაგეგმვის პროცესში მკაფიოდ წარმოაჩინოს ყველა ის ეტაპი, რაც აჩვენებს, როგორ უკავშირდება შემოქმედებითი დავალება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს.“
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	**ტექნოლოგიების** ექსპერტის რჩევით სასურველია კურიკულუმის ჩარჩოში ძირითად რესურსებთან ერთად ასევე, ჩანდეს ყველა ის დამატებითი რესურსი რასაც მასწავლებელი იყენებს სწავლის შედეგების მისაღწევად **ზოგადი განათლების დაწყებითი** საფეხურის ექსპერტის რჩევით სასურველია ყველა საგნობრივ კურიკულუმში კონკრეტულად ჩანდეს თემა და საკითხი სახელმძღვანელოს რომელ გვერდებს მოიცავს.(მაგ: ბუნებისმეტყველების (IV კლასის) კურიკულუმში, სასწავლო რესურსების სვეტში არ არის მითითებული გვერდები გრიფირებული სახელმძღვანელოდან.)

2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	**სპორტის** ექსპერტის რჩევით დაწყებით საფეხურზე მე-4 და მე-5 კლასის ისგ-ში მასწავლებელმა დააკორექტიროს ცნებები. **ტექნოლოგიების** ექსპერტის რჩევით სასურველია აქტივობები ისე იყოს დაგეგმილი და გაწერილი, რომ მკაფიოდ ჩანდეს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	**ტექნოლოგიების** ექსპერტის რჩევით სასურველია ხშირად გამოიყენოს მასწავლებელმა განმავითარებელი შეფასება, მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის** ექსპერტის რჩევით სწავლა- სწავლების პროცესის ხარისხის უწყვეტი მართვის მიზნით მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული, საკითხებთან და ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა იმ შემოქმედებით პროდუქტზე, რომელიც დაიგეგმება კურიკულუმით. პასუხისმგებლობისა და რეფლექსიის გასაძლიერებლად აქტიურად დაინერგოს თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება.
2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	**ტექნოლოგიების** ექსპერტის რჩევით სასურველია უფრო მეტად მკაფიოდ გამოჩნდეს კავშირი კურიკულუმის კონკრეტულ კომპონენტებსა და დაგეგმილ აქტივობებს შორის.

2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	**ტექნოლოგიების** ექსპერტის რჩევით სასურველია ყველა ძირითადი თუ დამხმარე რესურსი ასახული იყოს კურიკულუმში

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)*	*რჩევა*
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**საბუნებისმეტყველო** მეცნიერებების ექსპერტის რჩევით და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გამოასწორონ ცალკეული უზუსტობები V- XII კლასის კურიკულუმებში. **მათემატიკის** ექსპერტის რჩევით რესურსების სვეტი შეივსოს სრულყოფილად, სახელმძღვანელოს გვერდების, ელ.მისამართებისა და მატერიალური რესურსების მითითებით.
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	**მათემატიკის ექსპერტის რჩევით** კურიკულუმში სვეტის სახელწოდება: „კომპლექსური დავალების იდეა“ ჩანაცვლდეს შემოქმედებითი დავალებით და მასში შეიტანონ ყველა სახის დავალებები, რაც იძლევა შემოქმედებით პროდუქტს და ემსახურება შუალედურ მიზანს, ასევე თემის სახელწოდებები შეიტანონ მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით და არა სახელმძღვანელოს თემებითა და ქვეთემებით.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	**საზოგადოებრივი ექსპერტის რჩევით** სასურველია სკოლამ კიდევ მეტად მრავალფეროვანი რესურსი შესთავაზოს მოსწავლეებს, როგორც წყაროები, ასევე ფილმები, პრეზენტაციები და სხვა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი დამატებითი რესურსია შემოთავაზებული. ასევე საჭროა, მეტად კონკრეტული ინფორმაცია

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	წარმოადგინონ კურიკულუმში რესურსის შესახებ. ეს იქნება კონკრეტული ბმული, ფილმის სახელწოდება თუ სხვა. **მათემატიკის** ექსპერტის რჩევით კურიკულუმში სვეტის სახელწოდება ”რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისათვის” შეიცვალოს “სასწავლო რესურსებით” და ყველა რესურსი, რასაც იყენებენ თემის დამუშავებისას შეიტანონ კურიკულუმებში.
2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	**საზოგადოებრივი მეცნიერებების** ექსპერტის რჩევით სასურველია, დიფერენცირებულ მიდგომებს უფრო აქტიურად მიმართოს სკოლამ. მოსწავლეებს მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება როგორც დავალების ფორმატის, ასევე შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილში. აღნიშნული მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოავლინონ ინდივიდუალური შესაძლებლობები, ასევე გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას. **უცხოური ენების** ექსპერტის რჩევით სასურველია კურიკულუმებში ჩანდეს დიფერენცირებული მიდგომის მაგალითები, მაგალითად, შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენის ფორმის არჩევის საშუალება მოსწავლის მხრიდან, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მეტ დაინტერესებას და საკუთარი უნარების უკეთ წარმოჩენას. ასევე სასურველია კურიკულუმში ჩანდეს შემოქმედებით პროდუქტზე ან მინი-პროექტზე ჯუფური მუშაობის რამდენიმე მაგალითი, სადაც ჯგუფის დავალებები მოსწავლეთა უნარების მიხედვით იქნება გადანაწილებული.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	**საზოგადოებრივი** მეცნიერებების ექსპერტის რჩევით შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი

	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	**საზოგადოებრივი მეცნიერებების** ექსპერტის რჩევით სასურველია უფრო სკოლამ აქტიურად გამოიყენოს შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა. ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი. **მათემატიკის** ექსპერტის რჩევით მოსწავლეთათვის გამზადებულ ტესტებში ჩანდეს ესგ-თი მისაღწევი შედეგი და თითოეულ საკითხზე მითითებული იყოს შესაბამისი ქულა, რაც კიდევ უფრო გაზრდის გამჭირვალობას.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	**საზოგადოებრივი ექსპერტის** რჩევით სასურველია, რესურსების შერჩევისას სკოლამ გაითვალისწინოს ცალკეული მოსწავლის ინდივიდუალური სპეციფიკა და მეტად მრავალფეროვანი დამატებითი მასალა შესთავაზოს მათ. სხვადასხვა თემების განხილვისას შეიძლება კიდევ მეტი ციფრული თუ სხვა მატერიალური რესურსის შეთავაზება, რაც სწავლის პროცესს მეტად საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები. ასევე წარმოდგენილია ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც -**„არ შეესაბამება“** მესამე სტანდართან მიმართებაში 3.1.2.4, 3.4.1.2 და 3.6.3.5, მეორე სტანდარტთან (დაწყებითი საფეხური) მიმართებაში 2.2.2.4 -შეფასდა როგორც **მეტწილად** შესაბამისი, ხოლო ინდიკატორი 4.1.2.1, რომელიც შეფასებული იყო როგორც ,, **არ შეესაბამება“,** სკოლის მიერ ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც **„შეესაბამება“.**

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისიაა-შექმნას ტოლერანტული და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო, რათა აღიზარდოს ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების, ინტელექტუალური, თავისუფლად მოაზროვნე, მაღალი კულტურის, ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ფასეულობების, ეკოლოგიური ცნობიერების მქონე, გარემოზე მზრუნველი, კანონმორჩილი, კონკურენტუნარიანი და ემპათიური პიროვნება, რომელიც ფიზიკური, შემეცნებითი, ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარების ხელშეწყობით თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში შეძლებს ციფრული მიღწევების ეფექტიან გამოყენებას საკუთარ ინტელექტუალურ, ეკონომიკურ და შემოქმედებით საქმიანობაში. სასკოლო განათლება ხელს უწყობს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სამომავლო პროფესიის არჩევასა და საბაზისო უნარების ჩამოყალიბებაში. მოსწავლეების საჭიროებებზე ორიენტირებული მრავალფეროვანი, წამახალისებელი აქტივობებით, ისინი იძენენ სისტემურ აკადემიურ ცოდნას, გამოიმუშავებენ კრიტიკულ, ანალიტიკურ-შემოქმედებით აზროვნებასა და ცვალებად გარემოში ადაპტაციის უნარებს, რათა დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი საზოგადოებაში.

სკოლის ხედვაა-სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვით, პოზიტიური, უსაფრთხო ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ინკლუზიური გარემოს შექმნით, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის გამოვლენასა და განვითარებას, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ სიახლის შეცნობის მსურველ, განათლებულ და მზრუნველ მოქალაქეებად, რომლებსაც შეუძლიათ იყვნენ წარმატებულნი, გამოიჩინონ ინიციატივა სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად და ხელი შეუწყონ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

სკოლის მისიითა და ხედვით გათვალისწინებულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრული ისეთი საკითხები როგორიცაა: ეროვნული ღირებულებები, დემოკრატიული ფასეულობები, გარემოსდაცვითი ცნობიერების, ინტელექტუალური, კანონმორჩილი მოქალაქის აღზრდა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში შეძლებს ციფრული მიღწევების ეფექტიან გამოყენებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლას სრულად აქვს გააზრებული და განსაზღვრული მისი როლი უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ, სოციო-კულტურულ სივრცის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით სკოლა ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენას და პიროვნულ განვითარებას. სკოლაში არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა ხელს უწყობს ურთიერთთანამშრომლობას, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებას. ატივობები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ სასკოლო საზოგადოება სრულადაა ჩართული მათ განხორციელებაში. მათ შორის აღსანიშნავია მშობელთა ჩართულობა. სხვადასხვა პროფესიის მშობლები მონაწილეობენ კულტურულ ღონისძიებებს, ასწავლიან ხელნაკეთი ნივთების დამზადებას, ატარებენ სემინარებს ჯანსაღი ცხოვრების წესზე, მონაწილეობენ საქველმოქმედო აქციებში. სკოლას სტუმრობენ სხვადასხვა სფეროს წარმატებული ადამიანები. ასევე წახალისებულია სასკოლო საზოგადოების მიერ განხორციელებული აქტივობები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მიზნით 2024-2025 სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავდა კითხვარი, რომლის მიზანი იყო დადგენილიყო რამდენად იყო მისაღები სასკოლო საზოგადოებისათვის სკოლის ფილოსოფია. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) ჩართულობით. სკოლის მისია, რომელიც თავის თავში მოიაზრებს სკოლის ღირებულებებსა და ხედვას, წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს. მისიისა და ხედვის განაცხადის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიზნით, მოხდა სასკოლო საზოგადოების ინფორმირება. დაინტერესებულ პირთა ჯგუფში მომზადდა მისიისა და ხედვის პირველადი ვერსია. უკუკავშირის მიზნით, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ჯგუფები გაეცნენ დოკუმენტს. მათი მხრიდან რჩევა/რეკომენდაციების მიღების შემდეგ, მომზადდა, მისიისა და ხედვის საბოლოო ვერსია. სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთობლივად შემუშავებული მისიითა და ხედვით, შესათანხმებლად წარედგინა სამეურვეო საბჭოს და დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებაში. დამტკიცებული ფილოსოფია წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს, ასევე გაზიარდა სკოლაში შექმნის დახურულ ჯგუფებში. სკოლის ფილოსოფია წარედგინათ მშობლებს კლასის კრებებზე და იმსჯელეს მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებმა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. ყველა სართულზე და სოციალურ ქსელში და სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის ფილოსოფია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სსიპ ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდებით“ განსაზღვრულ ტიპს და სტატუსს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ფილოსოფია;

კითხვარი;

https://www.facebook.com/LEPLBatumiN16PublicSchool (აქტივობები)

https://www.facebook.com/share/p/1Kn85reUDW/ (ფილოსოფია)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას 2024 წლის 13 სექტემბერს აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია". განსაზღვრულიან სტრატეგიული დაგეგმვის ხუთი ძირითადი ეტაპი: ინფორმაციის შეგროვე და ანალიზი, მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, სამოქმედო გეგმის შემუშავება და შესრულების მონიტორინგი. სტრატგეიული დაგეგმვის პირველ ეტაპზე ხდება ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რაც მოიცავს სასკოლო საზოგადოებისაგან ინფორმაციის შეგროვებას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშრებით. შეგროვეული ინფორმაციის საფუძელზე დგება SWOT ანალიზი და გამოიკვეთება ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე საფრთხეები და შესაძლებლობები. მეთოდოლოგიით ასევე გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირების ეტაპები, სამოქმედო გეგმის შემადგენელი ნაწილები. სამოქმედო გეგმის დაგეგმვის ციკლი მოიცავს: შედეგების შეფასებას, ვითარების ანალიზს, დაგეგმვასა და გეგმის განხორციელებას. მეთოდოლოგიითვეა განსაზღვრული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას აქვს 2024-2031 წლის განვითარების სტრატეგიული გეგმა. მითითებულია, რომ სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით. ასევე მითითებულია, რომ განხილულია პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 16 სექტემბრის სხდომაზე. სტატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სასწავლო სკოლის სტრატეგიულ გეგმას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამომედო გეგმით განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

2024-2031 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;

2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**
   სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნულია რომ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვების საფუძველზე, რომლის მიზანია რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. მონიტორინგის განმახორციელებელი არის სკოლის დირექცია, თუმცა მითითებულია, რომ შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო ან ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი,

თუმცა არ არის მითითებული რა პერიოდულობით განხორციელდება მონიტორინგი. მეთოდოლოგიით ასევე გათვალისწინებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, რომელიც ხორციელდება სასწავლო წლის დასრულების შემდეგ და უნდა შეფასდეს განხორციელების შედეგები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული მიმართულების მიხედვით. ანალიზი წარედგინება სამეურვეო საბჭოს. განსაზღვრულია, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს განიხილება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

რჩევა: სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული იქნას სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის პერიოდულობა.

სკოლამ უზრუნველყოს ერთწლინი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2 მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

სკოლის წარმომადგენლობასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ დაგეგმილია კითხვარების შემუშავება, რომლის საფუძველზე მოხდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

დაგეგმილია, რომ სტარტეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიში საჯაროდ გამოქყვეყნდეს სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

დაგეგმილია ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს წარედგინოს დამტკიცებული ერთწლიანი განვითარების სტრატეგული გეგმის შესრულების ანგარიში. ასევე, სკოლის დირექცია, სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) წევრებისგან მიიღებს უკუკავშირს, რომლის გაანალიზების საფუძველზეც შემუშავდება მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება სტრატეგიული განვითარების შემუშავების შვიდწლიანი გეგმა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას დამტკიცებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები. მასში განსაზღვრულია როგორც სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პირთა, ისე სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. სტურქტურული ერთეულები საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებენ ,,საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის N30 ბრძანების, ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდების,'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის N167/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის'' საფუძველზე. სკოლის პერსონალის უფლება-მოვალეობები ასევე გათვალისწინებულია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ექთნის საშტატო ერთეული, თუმცა სკოლის თანამდებობრივ ინსტრუქციებში სკოლის ექთნის ფუნქციები გათვალისწინებული არ არის.

რჩევა: სკოლამ თანამდებობრივი ინსტრუქციაში განსაზღვროს საშტატო განრიგით გათვალისწინებული ექთნის ფუნქციები.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციბში მკაფიოდაა გაწერილი სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებულ პირთა ფუნქციები. სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციები განსაზღვრულია შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულია პირი -დირექტორის მოადგილე, რომელიც მისი არყოფნის დროს ასრულებს დირექტორის მოვალეობას. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ საკუთარ ფუნქციებს და ჯეროვნად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს. ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობას. მაგალითად: სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში, ჩართულები არიან საგნობრივი კათედრები/დეპარტამენტები, მათთვის მიკუთვნებული თემების განხილვაში, როგორიცაა სასწავლო რესურსები, საათობრივი ბადე და სხვა. შემუშავებულ პროექტს იხილავს და ითანხმებს სკოლის სამეურვეო საბჭო, რომელიც წარმომადგენლობითადაა დაკომპლექტებული (მშობლები, მასწავლებლები და თვითმმართველობის წარმომადგენელი მოსწავლე). სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული სასკოლო სასწავლო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

თანამდებობრივი ინსტრუქციები;

პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

საშტატო განრიგი;

სკოლის სტრუქტურა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა მოიცავს პერსონალის შერჩევის პროცედურებს, ახალი თანამშრომელის ადაპტაციის ეტაპებსა და ადაპტაციისათვის საჭირო აქტივობებს, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, მართვას, მოტივაციის მიზნით განსახორციელებელ აქტივობებს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, შრომითი ურთიერთობის პირობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, შრომითი ხელშეკრულებები განსაზღვრავს დასაქმებულისა და დამსაქმებლრჩევაის უფლება-მოვალეობებს. შინაგანაწესი არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი, რაც დასტურდება ხელმოწერით.

რჩევა: სკოლამ მოახდინოს კორექტირება ადამიანური რესურსების მართვი პოლიტიკის პირველ მუხლში, სადაც ზოგად დებულებებში მითითებულია ქ. თბილისის საჯარო სკოლა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციები ითავლისწინებს დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც პროგნოზირებადს ხდის პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს. დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში მისი ფუნქციების გადანაწილება ხდება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე. მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია მასწავლებლის ვალდებულება სკოლის დირექციის მოთხოვნის

შემთხვევაში, სხვა მასწავლებლის გაცდენისას ჩაატაროს მისი გაკვეთილები შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მოადგილე, რომელიც რეგისტრირებულია მართვის საინფორმაციო სისტემაში. გარდა ამისა, დირექციისა და ადმინისტრაციის წევრები ერთმანეთს ეხმარებიან ფუნქციების შესრულებაში. სკოლის შინაგანაწესი და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ინტერვენციებს, რაც პერსონალის მართვის პროცესში იჩენს თავს. სკოლამ ჩაატარა კვლევა საჭიროებების გამოსავლენად. (form-ის საშუალებით), რომელიც შემდგომში გაანალიზდა და დაიგეგმა პრევენციული და ინტერვენციული აქტივობები. მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელია სკოლაში მოქმედი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. სისტემატიურად მიმდინარეობს ურთიერთდასწრებები. მასწავლებელი ახდენს საკუთარი გაკვეთილის რეფლექსიას, რასაც მოჰყვება უკუკავშირი რჩევა-რეკომენდაციების სახით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან, სკოლას დამტკიცებული აქვს ,,ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების წესი და პირობები". სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, დასაქმების გვერდზე ვაკანსიის გამოქვეყნებისას განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია.

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის პერსონალის პირად საქმეებს დაკავებული პოზიციების მიხედვით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა სკოლის ბაზაში არსებული თანამშრომლების მონაცემები და პირადი საქმეები. შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლების პირად საქმეში განთავსებული იყო ცნობები ნასამართლობის შესახებ, ხოლო 2020 წლის ივნისის შემდეგ სკოლაში დასაქმებული პირების პირად საქმეებში განთავსებული იყო უფლების ჩამორთმევისა და

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

Eschool - ის ბაზის მონაცემების საფუძველზე, დგინდება, რომ სკოლის მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსები და აკმაყოფილებენ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულია სულ 85 მასწავლებელი, მათგან 21 უფროსი, 12 - წამყვანი, 2 მენტორი, მასწავლებლის სტატუსის მქონეა, ასევე დასაქმებულია 3 მოწვეული მასწავლებელი, რომლის საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ საათებს. **სკოლაში დასაქმებულია 2 უსტატუსო მასწავლებელი რომელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე დაწყებითი საფეხურის გამოყენებითი და სახვითი ხელოვნებისა და სპორტის მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობი განსაზღვრულ მოთხოვნებს.** რაც შეეხება სკოლის სხვა თანამშრომლებს, მათი პირადი საქმეების, ასევე, დაწესებულების მიერ შედგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების განხილვის საფუძველზე, დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლას ჰყავს ექთანი. თუმცა მოსწავლეთა რიცხოვნობის (1336) გათვალისწინებით**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული**

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ დანართი 1.2-ის შესაბამისად 800 და მეტი მოსწავლის შემთხვევაში სკოლაში გათვალისწინებულია 2 ექიმის არსებობა. აქვე მითითებულია, რომ ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით, თუმცა სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით (2320 მოსწავლე) საშტატო განრიგით გათვალისწინებული და შესაბამისი პროცედურების დაცვით ექიმის თანამდებობაზე შერჩეული უნდა იქნას უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელიც ფლობს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს წესით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში და სკოლაში შეასრულებს წამყვან, ძირითად საქმიანობას ზემოაღნიშნული წესით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;

სკოლამ წარმოადგინა ღია კონკურსის შედეგად უსტატუსო მასწავლებლების ნაცვლად შესაბამისი კვალიფიციის მქონე მასწავლებლის შერჩევის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ასევე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.4 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის სრულად უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 18.07.2025-18.07.2026. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც-„მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს ექიმის ვაკანტურ თანამდებობაზე შესაბამისი კვალიფიციური კადრის შერჩევა, ასევე 15.09.2025-მდე დაწყებით საფეხურზე ხელოვნებასა და სპორტში უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებისათვის საათების განაწილება.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში გამორჩეულია პერსონალის გუნდური მუშაობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ ისინი იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. თანამშრომლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს. სკოლაში განხორციელდა არაერთი სასკოლო პროექტი. აღნიშნული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში კარგად გამოიკვეთა დასაქმებულთა ორგანიზაციული კულტურა და გუნდური მუშაობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის დირექციის მხრიდან ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, რაც გამოიხატება მადლობის გამოცხადებით, და მხარდაჭერით სხვადასხვა პროექტების, თუ აქტივობების განხორციელებისას. გამოიკვეთა, რომ მხარდაჭერა აისახება მოტივაციაზე, მუშაობის ხარისხზე და დადებით გავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე. როგორც დასაქმებულთა, ისე მოსწავლეთა წარმატებების გაზიარება ხდება როგორც სოციალურ, ისე სასკოლო სივრცეში. სკოლაში კათედრების მიხედვით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის სხდომებზე ერთმანეთს უზიარებენ როგორც წარმატებებს, ისე გამოცდილებას. ასევე, სასწავლო წლის ბოლო პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე კათედრები წარმოადგენენ ანგარიშებს განხორციელებული აქტოვობებისა და საქმიანობის შესახებ. მასწავლებლები

სემესტრში ერთხელ წარადგენენ ანგარიშებს. სკოლაში ხდება არამარტო პერსონალს შორის გაზიარება, არამედ ისინი საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ სხვადასხვა სკოლებს. ამის დასტურია სკოლაში გამართული შეხვედრა, რომელზეც მოწვეული იყვნენ სხვადასხვა სკოლის დირექტორები და პედაგოგები. ღონისძიების მიზანი იყო სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების, წარმატებული პრაქტიკებისა და გამოწვევების განხილვა. სკოლის ინიციატივით, გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიული განვითარებისთვის, სკოლაში მოწვეული იყო ფინეთში მოღვაწე ქართველი პედაგოგი. შეხვედრის მიზანი იყო ფინური საგანმანათლებლო მოდელის უკეთ გაცნობა, თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდების გაზიარება და პრაქტიკული გამოცდილების გადაცემა. მონაწილეებმა მიიღეს არა მხოლოდ თეორიული ინფორმაცია, არამედ პრაქტიკული რეკომენდაციებიც. სკოლამ ასევე გამართა საგანმანათლებლო კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა დაახლოებით 300 მონაწილე – მათ შორის, სხვადასხვა სკოლის დირექტორები, პედაგოგები და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები.კონფერენციის მიზანი იყო სკოლის გამოცდილების, პრაქტიკისა და სწავლა-სწავლების ინოვაციური მიდგომების გაზიარება. სკოლაში განხორციელდა პროექტი „გაიცანი საქართველოს მასწავლებელი“, რომლის მიზანი იყო ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე გამორჩეული პედაგოგების გაცნობა და მათი პროფესიული გამოცდილების გაზიარება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტთ დადგენილ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. ღია კონკურსის ჩატარების მასალები;
4. შრომითი ხელშეკრულებები;
5. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
6. სტრუქტურული ერთეულების წლიური სამოქმედო გეგმები.
7. პორტირებული მონაცემები Eschool -ის ბაზიდან;
8. თანამშრომელთა პირადი საქმეები;

9. სოციალური ქსელის ლინკები სკოლის მიერ გამოცდილების გაზიარების შესახებ;
10. მასწავლებელთა საჭიროების კვლევის კითხვარი;
11. სკოლის ექთნის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ-ბრძანება;
12. ექიმის ვაკანტური საათების შესავსებად კომისიის შექმნის ბრძანება;
13. შესარჩევი კონკურსების დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, დირექციის შეხვედრებზე რეგულარულად განიხილება ადამიანური რესურსების მართვის მეთოდების ეფექტიანობა, ხორციელდება ისეთი ინტერვენციები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობისა და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას, იმართება კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები. მასწავლებლები სხვადასხვა სახის ღონისძიებებში იღებენ მონაწილეობას, ახორციელებენ ინტეგრირებულ პროექტებს, რომლებშიც ჩართულები არიან საგნობრივი კათედრების

წარმომადგენლები. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად პერსონალის შეფასების მიზნით სისტემატურად ხორციელდება დირექციასთან შეხვედრებზე. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პერსონალის შეფასება ძირითადად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით და უკუკავშირის მიცემით. შეფასებების საფუძველზე იგეგმება გაუმჯობესების გზები. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ ინოვაციური ხედვები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმები და შესაბამისი ინტერვენციები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარი, რომელიც შეიცავს იმგვარ კითხვებს, რაც შესაძლებელს გახდის სამომავლოდ დაგეგმონ ხელშემწყობი ღონისძიებები. სკოლა იკვლევს რამდენად სჭირდება მასწავლებელს გაიაროს ტრენინგები/კურსები, რომელი თემატიკაა მათთვის მნიშვნელოვანი, საჭიროებენ თუ არა დამატებით მხარდაჭერას ინკლუზიური განათლების კუთხით, აქვეა დასმული კითხვა საჭიროა თუ არა სკოლაში მუდმივი პროფესიული გეგმის არსებობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია დასამებულთა მიერ არაერთი ტრენინგისა და კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმების განხორციელებას ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი. დირექტორი და მოადგილე ახორციელებენ პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ღონისძიებების დაგეგმვას, ტრენინგებისა თუ სემინარების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. მასწავლებლები აქტიურად ესწრებოდნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგ-კურსებს. სკოლა ასევე უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მხარდაჭერას და ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე, აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგების შესახებ და ხელს უწყობს მათზე დასწრებას. სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია სკოლის სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარებაც. მუდმივად მიეწოდებათ მათთვის პრიორიტეტული ტრენინგებისა თუ სემინარების შესახებ ინფორმაცია. უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირებას არსებული პროფესიული განვითარების

ტრენინგების, კონფერენციების, პროექტების, საპილოტე პროგრამების, კარიერული წინსვლის აქტივობების შესახებ, რაც ხელს უწყობს, მასწავლებელთა/თანამშრომელთა პროფესიული ზრდის უწყვეტობას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანაა სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ხელშეწყობა, შესაბამისი ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა, რათა მან წარმატებით გაიაროს სკოლასთან შეგუების პროცესი. ასევე განსაზღვრულია ახალი თანამშრომელის ადაპტაციისთვის საჭირო აქტივობები: სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, სკოლის დათვალიერება, ახალი თანამშრომლისთვის პირადი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, მისი ინფორმირება სკოლაში მიმდინარე სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შესახებ, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა, თანამშრომლებისთვის წარდგენა. ასევე გათვალისწინებულია ადაპტაციის მიზნით სხვა თანამშრომელთა ვალდებულებები. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი აქვს მინიჭებული კათედრების თავმჯდომარეებს, დირექტორის მოადგილესა და საინფორმაციო მენეჯერს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ დასაქმებულის მოტივაციის ხარისხს განაპირობებს სკოლაში დამკვიდრებული სამართლიანი, ობიექტური და გამჭვირვალე მართვის მექანიზმები. წახალისების ღონისძიებები ხორციელდება ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც ყურადღება ექცევა სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება; სიგელის გადაცემა; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანებები მადლობის გამოცხადების შესახებ, ასევე შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე გამოვლენილია წლის მასწავლებელი. წახალისებული არიან სკოლის დარაჯი, დამლაგებლები და მუშა. სკოლის მიერ შეთავაზებული წახალისების სისტემა დასაქმებულებისთვის ქმნის მოტივაციას იყვნენ აქტიურები და განვითარდნენ პროფესიულად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლის შინაგანაწესი;

სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკა. დოკუმენტი მოიცავს ხარისხის განვითარების შემდეგ პროცესს: თვითშეფასება, განხორციელებული პროცესის რეფლექსია, სასწავლო გეგმის განვითარება, სკოლის უკუკავშირი, ტრენინგები და სხვა პროფესიული განვითარების აქტივობები, კოლეგებთან თანამშრომლობა, ეთიკური ნორმების დაცვა. განსაზღვრულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, სკოლის

ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საშუალებები (აქტივობების დაგეგმვა, განხორციელება, გაზიარება), შეფასების კრიტერიუმები, თვითშეფასების რუბრიკები, გაკვეთილის შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა მიერ საგაკვეთილო შეფასების კითხვარი, შემაჯამებელი სამუშაოს დაგეგმვის, წარმართვის, შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის მონიტორინგი, კონსტუქციული უკუკავშირის სტრატეგია და სხვა. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახდენს მასწავლებელთა შიდა შეფასებას. ასევე, განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვებს.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სკოლის მიერ წარმოდგენი სხვადასხვა დოკუმენტში, როგორებიცაა სასწავლო პროცესის ხარისიხის განვითარების პოლიტიკა., სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი, საქმისწარმოების წესი, საჩივრების განხილვის წესი და სხვა. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული და იდენტიფიცირებული აქვს პროცესები მათ ყოველდღიურ საქმიანობაში. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი პროცესებიდან ერთ-ერთი დაწესებულების მხრიდან სწავლა სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაა. ძირითადი პროცესები - კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ასევე, მონიტორინგი და შეფასება. სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სხვადასხვა პროცესების ეფექტურად წარმართვას. სკოლის საქმიანობის დამხმარე პროცესებში აქტიური როლი აკისრია სკოლის ინფრასტრუქტურას და სასკოლო რესურსებს. გამართული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი რესურსები სწავლა-სწავლების ხარისხში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს საგანმანათლებლო პროცესში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას დამტკიცებული აქვს საჩივრის/განცხადების განხილვის მექანიზმები, სადაც განსაზღვრულია საჩივრების განმხილველი პირი/ორგანო, გასაჩივრების წესი, ვადები, საჩივრის სახეები, საჩივარზე უარის თქმა, საჩვრის ფორმა და რეკვიზიტები, გადაწყვეტილების მიღების წესი. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბერის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის" შესაბამისად. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს და ახდენს სათანადო რეაგირებას. საჩივრების განხილვის პროცესში სკოლა იცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ნორმებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი, რომლის შესაბამისად სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები მშობელთა კრებებსა და კლასის საათზე აწვდიან ინფორმაციას მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ასევე ეგზავნებათ კლასის დამრიგებლების მიერ ელექტრონულ ფოსტაზე/ სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში, გათვალისწინებულია მოსწავლისა და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და სკოლაში დასაქმებული პირების კანონიერი უფლებები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასწავლო პროცესის ხარისიხის განვითარების პოლიტიკა;

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი;

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;

სკოლის შინაგანაწესი;

საჩივრის/განცხადების განხილვის მექანიზმები;

მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მიღების მიზნით სკოლა იყენებს სხვადასხვა საშუალებებს. სოციალურ ქსელში სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებთან და სიახლეებთან დაკავშირებით. დამრიგებლების მიერ სოციალურ ქსელში შექმნილია დახურული ჯგუფები, სადაც სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ დროულად და ამომწურავად მიიღონ ინფორმაცია სკოლის მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. მოსაზრებების დაფიქსირება ხდება აგრეთვე მშობელთა კრებებზე. შესაბამისი უკუკავშირის მიღების შემდეგ სკოლის დირექცია აანალიზებს და რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები აქტიურად არიან ჩართულები სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშრებულ განხილვაში. მათი უკუკავშირი ორიენტირებულია არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. წარმოდგენილია მშობელთა კითხვარები, რომელიც ითვალისწინებს უკუკავშირის მიღებას სკოლაში არსებული ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის მიზნით. სკოლის მასწავლებელს განხორციელებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის კითხვარის ანალიზი. სასკოლო საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის კითხვარი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სასკოლო საზოგადეობის წევრები აქტიურად არიან ჩართული როგორც სასკოლო ცხოვრებაში, ისე კოლეგიურ ორგანოებში. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან როგორც მასწავლებლები, ასევე მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს, სააპელაციო კომიტეტს (საჭიროების შემთხვევაში), ითანხმებს სასკოლო სასწავლო გეგმას, ამტკიცებს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს. სკოლაში გამორჩეული თანამშრომლობითი კულტურაა, რაც დასტურდება მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩატარების დროს მათ კოორდინირებულ მოქმედებებში. პედაგოგიურ საბჭოში და საგნობრივ კათედრებში გაერთიანებული არიან მასწავლებლები. პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას ან შეაქვს მასში

ცვლილებები, ირჩევს წარმომადგენლს დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში. ისგ ჯგუფების შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, სსსმ მოსწავლის ასისტენტები, მშობლები.

დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში არიან მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა დაკომპლექტებულია წარმომადგენლობითად სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლისგან (პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეები, დირექტორი, რესურსცენტრსი წარმომადგენელი, რომლებიც თანამონაწილეობით იხილავენ სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
https://www.facebook.com/share/16EpWngHq9/?mibextid=wwXIfr
https://www.facebook.com/share/18xPYRB7AX/?mibextid=wwXIfr
https://www.facebook.com/share/v/1L3tC2xgAZ/?mibextid=wwXIfr
ისგ ჯგუფის ბრძანება;

მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ ბრძანება;
მშობელთა კმაყოფილების კითხვარი;
მასწავლებელთა კითხვარები;
მოსწავლეების კითხვარები;
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლა სრულად იცავს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოებას. ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლა არის შემოსაზღვრული. ეზოში შემოსასლელში დამონტაჟებულია რკინის კარი. უცხო პირთა გადაადგილებას აკონტროლებს 2 დარაჯი (დღის და ღამის) სკოლას ჰყავს 3 მანდატური. დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსაურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შექმნილია საგანგებო შტაბი. სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო-სათვალთვალო კამერები. სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია - 23 ვიდეო-სათვალთვალო კამერა მათ შორის 14 - შიდა, ხოლო 9- გარე პერიმეტრზე. შენობის სართულებზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, დამონტაჟებულია სამისამართო ტიპის სახანძრო სიგნალიზაცია, სახანძრო სიგნალიზაციის მართვის პულტი /პანელი განთავსებულია სათავსოში, სადაც მიმდინარეობს ოცდაოთხსაათიანი მორიგეობა და გამოკრულია ინსტრუქცია, დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები, მანათობელი მანიშნებლები. სკოლაში დამონტაჟებულია სახანძრო კიბე და ცეცხლგამძლე ავტომატური ფარდა. შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლას აქვს სახანძრო უსაფრთხოების

ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2024 წლის 4 ოქტომბრის აქტი, რომლის შესაბამისადაც დგინდება, რომ სკოლის მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ასევე, წარმოდგენილია აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ 2025 წლის 23 აპრილს გაცემული დასკვნა, სადაც აღიშნულია, რომ ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით. სკოლას ჰყავს საშტატო განრიგით განსაზღვრული ექთანი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად და აწარმოებს საჭირო ინფორმაციის აღრიცხვას სპეციალურ ჟურნალში. დამტკიცებულია სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირებისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა შემთხვევების დროს (გულის წასვლა, სასუნთქ გზებში უცხო სხეული არსებობის, შოკის, ელექტროტრამვის, კრუნჩხვის, დამწვრობის, მოყინვის და სხვა) პირველადი დახმარების გაწევის ზოგად წესებს. სკოლაში ამჟამად სწავლოს 1336 მოსწავლე, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა,**

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ დანართი 1.2-ის შესაბამისად 800 და მეტი მოსწავლის შემთხვევაში სკოლაში გათვალისწინებულია 2 ექიმის არსებობა. აქვე მითითებულია, რომ ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით, თუმცა სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით (2320 მოსწავლე) საშტატო განრიგით გათვალისწინებული და შესაბამისი პროცედურების დაცვით ექიმის თანამდებობაზე შერჩეული უნდა იქნას უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელიც ფლობს დამოუკიდებელი

საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს წესით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში და სკოლაში შეასრულებს წამყვან, ძირითად საქმიანობას ზემოაღნიშნული წესით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 18.07.2025-18.07.2026 წელი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც-,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს ექიმის თანამდებობაზე შესაბამისი კვალიფიციური კადრის შერჩევა.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით". განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი, ასევე უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც აკონტროლებენ სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთებით გამოცხადებას. სკოლაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, მიიღოს შესაბამისი რეკომენდაციები და წარუდგინოს სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში შექმნილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: ფსიქოლოგი, 4 სპეციალური მასწავლებელი და 4 სსსმ მოსწავლეების ასისტენტი, რომლებიც უზრუნველყოფენ სსსმ მომსწავლეების ემოციურ და ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. განხორციელებულია იმგვარი აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას.

მაგალითად: პროექტი USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში-,,გარდატეხის ასაკის ლაბირინთები". ასევე, შექმნილია სოციალური გვერდი: ,,გარდატეხის ასაკის ლაბირინთები''. ჩატარდა კვლევა, დამზადდა საინფორმაციო ბუკლეტები, ჩატარდა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოთერაპევტთან შეხვედრა, სკოლამ მონაწილეობა მიიღო კონკურსში ,ნაადრევი ქორწინება-,,არჩევანი ,თუ ზეწოლა". სკოლის ექთანმა და მათემატიკის პედაგოგმა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისტვის ჩაატარეს ტრენინგი თემაზე ,,ნარკოტიკების სამართლებრივი და სოციალური შედეგები", რაც მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში ნარკოტიკული ნივთიერებების საზიანო გავლენის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. მოსწავლეებს მიეწოდათ ვიზუალური მასალა, რეალური ისტორიები, მონაწილეობის შესაძლებლობა დისკუსიებში. დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. სკოლაში არსებული მრჩეველთა საბჭო სასკოლო საზოგადოებას აწვდის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სრულადაა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დასაქმებულია 6 დამლაგებელი. სკოლა სრულად იცავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების (,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში'') შესაბამისად დალაგების პირობების თაობაზე, რაც ასევე დასტურდება დამლაგებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილი ვალდებულებებით. სკოლის ექიმი ზედამხედველობს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის, აგრეთვე პერსონალისთვის. სსსმ მოსწავლეებისთვის სამივე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ურნა). დამლაგებლები აწარმოებენ სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ჟურნალს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ''. დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, რომელშიც განსაზღვრულია ყველა ის პროცედურა, რასაც სკოლა ახორციელებს მონაცემთა დამუშავების მიმართულებით. სკოლას პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები გაწერილი აქვს შრომით ხელშეკრულებებსა და მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია სკოლაში ვიდეო-მონიტორინგის განხორციელების თაობაზე, ასევე დამტკიცებული აქვს ინციდენტის იდენტიფიცირებისა და მასზე რეაგირების პოლიტიკის დოკუმენტი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია მის ხელთ არსებული ინფორმაცია. სკოლის მიერ დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობას. აღნიშნულია, რომ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთა მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და რთული პაროლის საშუალებით. აკრძალულია მომხმარებლის სახელისა და პაროლის ვინმესთვის გამჟღავნება/სარგებლობაში გადაცემა. სკოლის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული პროგრამები/ვებ.გვერდი არის ლიცენზირებული. სკოლის ელექტრონულ ჟურნალში მონაცემებზე წვდომა აქვთ ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შეფასების მიზნით სკოლას დაგეგმილი აქვს სხვადასხვა აქტივობის განხორციელება. თუმცა ამ მიზნით პერიოდულად ხორციელდება არაერთი ღონისძიება, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი. ჩატარდა საგანგებო სიტუაციების მართვის სიმულაცია. მოსწავლეთა თვითმმართველობა და მასწავლებლები ახორციელებენ იმგვარ აქტივობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის სკოლამ გამოკვეთოს და სამომავლოდ დაგეგმოს ამ მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. მათ შორის, კითხვარების შემუშავება და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. სკოლაში განხორციელდა საგანგებო სიტუაციების მართვის სიმულაციური პროცესი, რომლის მიზანი იყო მოსწავლეთა, პედაგოგთა და სკოლის თანამშრომელთა ინფორმირება, მზადყოფნა და სწორი ქცევის ფორმირების ხელშეწყობა სხვადასხვა კრიზისულ ვითარებაში. გაკვეთილების მიმდინარეობისას ჩატარდა იმიტირებული საგანგებო სიტუაცია, რის შემდეგაც ყველა მონაწილემ იმოქმედა უსაფრთხოების გეგმაში გათვალისწინებული პროცედურების დაცვით: დროული ევაკუაცია, თავშეყრა უსაფრთხო სივრცეში და სიტუაციის შეფასება. მოსწავლეებმა მიიღეს თეორიული ცოდნა: – როგორ მოიქცნენ მიწისძვრის, ხანძრის ან სხვა საფრთხის დროს, როგორ დაიცვან საკუთარი და სხვისი უსაფრთხოება; – რა არის პირველადი რეაგირების ნაბიჯები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს;

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმების წერილი;

სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2024 წლის 4 ოქტომბრის აქტი;

აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;

ბრძანება ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ;

ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ;

ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია;

ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ;

სამედიცინო დახმარების გაცემის წესი;

ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი;

ინციდენტის იდენტიფიცირებისა და მასზე რეაგირების წესი;

https://www.facebook.com/share/p/1DzCNGNcvp/

სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ჟურნალი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის მშენებლობა დასრულებულია 2024 წლის ოქტომბერში. შენობა-ნაგებობა ა(ა)იპ ,,ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე ექსპლუატაციაში მიღებული იქნა 2024 წლის 11 ოქტომბერს. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (25.02.2025), სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 6259 კვ. მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (6382.90კვ.მ). სკოლის ეზოში ასევე განთავსებულია შენობა საქვაბისთვის. სკოლის შენობა არის სამსართულიანი. სკოლის შენობაში განთავსებულია დირექტორის ოთახი, სამასწავლებლო, ბუღალტრის ოთახი, მნეს ოთახი, ჭადრაკის ოთახი, ინგლისური ენის კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, დიდი და მცირე სპორტული დარბაზები, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები (ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის დამოუკიდებელი კაბინატები), რესურსების შესანახი ოთახები, რესურსოთახი, თვითმმართველობის სამუშაო სივრცე, ბიბლიოთეკა, დარაჯებისთვის, დამლაგებლებისთვის განკუთვნილი ოთახი, სასადილო. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი.

სკოლის დერეფნებში ყველა სართულზე განთავსებულია სასმელი წყლის ონკანები. სკოლაში არის სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის, აგრეთვე ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, ხოლო სართულებზე ასავლელად დამონტაჟებულია ლიფტი.

სკოლაში არის დიდი და ნათელი საკლასო ოთახები, რომლებიც აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, საკლასო დაფებით, კარადებით, პროექტორებით. სამასწავლებლოში განლაგებულია მაგიდები და სკამები, კომპიუტერები, კარადები. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებით, პროექტორით. ყველა

პედაგოგს სარგებლობაში გადაცემული აქვს ლეპტოპები და საშუალება აქვთ ნებისმიერი საგანმანათლებლო რესურსი გამოიყენონ საჭიროებისამებრ რათა უფრო ეფექტური გახადონ სასწავლო პროცესი.

სკოლის ეზო არის კეთილმოწყობილი. სკოლას ავტორიზაციის განაცხადი წარდგენილი აქვს 2320 მოსწავლეზე. დგინდება, რომ ავტორიზაციის ვიზიტის დროისთვის სკოლა მზაობას აცხადებს იმდენ მოსწალეზე რამდენი სასკოლო ინვენტარიც ერიცხება ბალანსზე ვარგის მდგომარეობაში. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნადი ფონდი მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და მხატვრულ ლიტერატურას. სკოლას აქვს სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების და საკანცელარიო ნივთების მარაგი.

სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორია და დამატებითი ოთახები. ლაბორატორიებში არის ონკანები და დამონტაჟებულია სავენტილაციო სისტემა. განთავსებულია ლაბორატორიული ჭურჭელი, ქიმიური რეაქტივები, მულაჟები, ხელსაწყოები, სხვადასხვა სასწავლო რესურსი. სკოლაში არის კალათბურთის, ფეხბურთის ბურთები, ჭადრაკის დაფები და სხვა სპორტული ინვენტარი.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას დამტკიცებული აქვს ლაბორატორიებითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლის ინფრასტრუქტურით შეუზღუდავად სარგებლობენ როგორც სკოლაში დასაქმებულები, ისე მოსწავლეები. სკოლაში სისტემატურად ტარდება მრავალფეროვანი ღონისძიებები, კონფერენციები, შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობას იღებს როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, ისე მოწვეული სტუმრები. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარემ გასაუბრების დროს დაადასტურა, რომ ისინი სრულად სარგებლობენ სკოლის ინფრასტრუქტურით. მათთვის გამოყოფილია სივრცე, სადაც იკრიბებიან, გეგმავენ და ახორციელებენ საინტერესო პროექტებს. ეზოში მოწყობილია რეკრეაციული სივრცე.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი, ყველა სავალდებულო რესურსით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. დამტკიცებულია ბიბლიოთეკის გამოყენების წესი (დებულება). სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში, აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთა განვითარებისათვის. ისინი ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის მუშაობას, აწარმოებს ბიბლიოთეკის საქმიანობისათვის აუცილებელ დოკუმენტაციას. კერძოდ, აღრიცხულია სკოლის ბალანსზე არსებული საბიბლიოთეკო ფონდი, ასევე აწარმოებს შესაბამისად დამუშავებულ რესურსების კატალოგს, მკითხველის ფორმულარს. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების თითოეული ეგზემპლიარი დამუშავებულია სათანადო წესით და მინიჭებული აქვს საინვენტარო ნომერი.
წიგნადი ფონდი დამუშავებულია ელექტრონულად და შეტანილია ელექტრონულ ბაზებში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე. ხშირად ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები. სასკოლო ბიბლიოთეკების ხელშეწყობისა და წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტრომ დააფინანსა სასკოლო ბიბლიოთეკების ინიციატივები, რის შედეგადაც საკონკურსო კომისიის მიერ ოც გამარჯვებულ პროექტს შორის სკოლამ ორჯერ მოიპოვა გამარჯვება. პროგრამის ფარგლებში სკოლის ბიბლიოთეკა შეივსო ქართველი და მსოფლიო კლასიკოსების, საბავშვო, საყმაწვილო და შემეცნებითი ხასიათის ლიტერატურით.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიურ გარემოს და სრულადაა ადაპტირებული შშმ პირებისათვის. სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, ხოლო სართულებზე ასასვლად დამონტაჟებულია ლიფტი. ყველა სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლაში არსებული რესურსოთახი აღჭურვილია მრავალფეროვანი ინვენტარით-სასწავლო რესურსით, საკანცელარიო ნივთებით, ინვენტარით, (ბატუტი, პუფი, ხალიჩა, კომპიტერული ტექნიკა, ფაზლები, რიცხვები, პლასტელინი, ფანქრები, ფლომასტერები, სათამაშოები და სხვა).
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა შესაძლებლობას აძლევს სკოლას განახორციელოს მრავალფეროვანი ღონისძიებები. სკოლაში არსებულ სააქტო დარბაზში მოეწყო არაერთი ღონისძიება, კონფერენცია დ კონკურსი. ასევე ხშირად იმართება პროექტების

პრეზენტაციები, შეხვედრები. სკოლაში ფუნქციონირებს კინო სტუდია, სადაც იმართება კინოჩვენებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში კულტურული ცნობიერების ამაღლებას. სკოლას აქვს შიდა-მცირე და დიდი სპორტული დარბაზები და გარე სპორტული მოედანი, სადაც ტარდება სხვადასხვა სპორტული აქტივობა და სპორტული შეჯიბრებები. სკოლაში მოწყობილია სამკითხველო სივრცე, კერძოდ, სკოლის ბიბლიოთეკაში, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ წაიკითხონ მათთვის საინტერესო წიგნები. სკოლაში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, გამოფენები. სკოლაში არის ჭადრაკის ოთახი, სადაც მოსწავლეებს შორის იმართება შეჯიბრებები. ასევე, მრავალფეროვანი აქტივოებები ხორციელდება ინგლისური ენის კაბინეტსა და ხელოვნების ოთახში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ ბრძანება;

www.facebook.com/LEPLBatumiN16PublicSchool

ბიბლიოთეკის გამოყენების წესი;

წიგნების გადაცემის აქტები;

ლაბორატორიით სარგებლობის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა სრულადაა აღჭურვილი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით. დამტკიცებულია ციფრული განვითარების გეგმა, რომლის შესაბამისად დგინდება, რომ სკოლას აქვს 21 პორტატული კომპიუტერი, 27 ლეპტოპი, 6 პრინტერი და 18 პროექტორი. ასევე 16 ეკრანი, 2 დიდი და 2 პატარ დინამიკი. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 31 კომპიუტერი (19 პორტატული კომპიუტერი და 12 ლეპტოპი), ყველა საკლასო ოთახში დამონტაჟებულია პროექტორი. კომპიუტერები და ლეპტოპები განთავსებულია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, ექთნის ოთახში, მნეს ოთახში. კომპიუტერით უზრუნველყოფილია სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, საინფორმაციო მენეჯერი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, რესურსოთახი, საქმის მწარმოებელი. სკოლის კომპიუტერული ტექნიკის პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოყოფილი IT სპეციალისტი. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას დამტკიცებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი. ასევე დადგენილია ლეპტოპებით სარგებლობის განრიგი. სკოლის ციფრული განვითარების გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალის მიერ კომპიუტერებით ხელმისაწვდომობას, სამომავლო საჭიროებებსა და ამ მიმართულებებით განსავითარებელ დაგეგმილ აქტივობებს. საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლა უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. საგაკვეთილო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსწავლეებს. ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები.

რაც შეეხებათ მასწავლებელს, როგორც მათ აღნიშნეს, ისინი სისტემატურად იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას სასწავლო რესურსების მოძიებისათვის და სრულად სარგებლობენ ელექტრონული რესურსით. ყველა საკლასო ოთახში დამონტაჟებულია მონიტორები. გარდა ამისა, I-IV კლასის მოსწავლეები აღჭურვილები არიან პორტაბელური კომპიუტერებით, რომელსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცეში. ასევე, სკოლა ამზადებს და ახდენს დიაგნოსტიკური წერების ადმინისტრირებას. კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოსწავლეებისთვის განკუთვნილი მუშაობის მოქნილი გრაფიკი საშულებას იძლევა რობოტექნიკის მიმართულებით სხვადასხვა პროგრამებში და კონკურსებში მონაწილეობის, ასევე სხვადასხვა საგანში კომპლექსური დავალების ხარისხიანად შესრულებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ლეპტოპებით სარგებლობის განრიგი;

ლაბორატორიით სარგებლობის წესი;

ციფრული განვითარების გეგმა;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას, დოკუმენტაციის ცნებასა და სახეებს, ბრძანებების მომზადებისა და დოკუმენტაციის მომზადების წესს და სხვა. ასევე, განსაზღვრულია დოკუმენტაციის აღრიცხვის, გამოყენებისა და შენახვის წესები. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელსაც აქვს უნიკალური მომხმარებლის სახელი და პაროლი და ერთიან ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. Eflow. Emis.ge-ს საშუალებით ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების რეგისტრაცია (ბრძანებების, წერილების, სამსახურებრივი ბარათების). სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი. eSchool.emis.ge-ს მეშვეობით ხდება სკოლის საშტატო განრიგის პროექტის მომზადება სკოლის ბუღალტრის მიერ და სამინისტროსთან შეთანხმება. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა. სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია.

პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge

გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა: batumi13@mes.gov.ge სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. დგინდება, რომ სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილზე. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლის მიერ დროულადაა წარდგენილი ანგარიშები სხვადასხვა უწყებებთან. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ასევე, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ანგარიში წარედგინება საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს. ასევე სკოლა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების

ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით. დროულად რეაგირებენ და აწვდიან მოთხოვნილ ინფორმაციას საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი;

სამეურვეო საბჭოს ოქმი 10 დეკემბრის ანგარიშის წარდგენაზე;

სკოლის პროფილი eSchool.emis.ge-ს, Eflow.emis.ge-სა და procurement.gov.ge-ს სისტემაში. სკოლის ელექტრონული ფოსტა Batumi13@mes.gov.ge

საქმისმწარმოებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ გვერდი. (https://skolebi.emis.ge/schools/308?schoolName). მასზე განთავსებულია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ფუნქციონირებს აქტიური ფეისბუქ გვერდი (www.facebook.com/LEPLBatumiN16PublicSchool) და დახურული საკომუნიკაციო ჯგუფები. სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისას აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, თიმსის პლატფორმაზე და სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებს. შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ხდება ვებ გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას დაადასტურა, რომ ინფორმაციის გავრცელება სოციალურ ქსელში ხდება უშუალოდ მის მიერ. ასევე თანხმდება სკოლის დირექტორთან დამრიგებლების მიერ გასავრცელებელი ინფორმაცია. სკოლის მიერ მისი

საქმიანობისა და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციები გავრცელებულია მხოლოდ ოფიციალური გვერდებიდან. განხორციელებულია პროექტი , რომლის ფარგლებში სკოლის მასწავლებლებსა და მშობლებს მიაწოდეს ინფორმაცია ლიცენზირებული და სანდო პროგრამების მნიშვნელობაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლას აქვს სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხი სოციალური ქსელი (facebook), დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში, ელექტრონული ფოსტა, სკოლის კანცელარია, რომელთა საშულებითაც მყარდება ორმხრივი კომუნიკაცია. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის საკომუნიკაციო არხებიდან შემოსული ინფორმაცია თავს იყრის დირექტორთან, მუშავდება და საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება უფლებამოსილი პირების მიერ. სკოლას დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. მშობლებისათვის გამოყოფილია კვირაში ორი დღე, რა დროსაც მათ ხვდება საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც მათი ინტერესების მიხედვით უზრუნველყოფს მასწავლებელთან ან კლასის დამრიგებელთან შეხვედრების ორგანიზებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი (https://skolebi.emis.ge/schools/308?schoolName)

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებ-გვერდზე სრულად არ არის განთავსებული ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია. მასზე განთავსებულიამისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები (სასკოლო სასწავლო გეგმა), მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები (რემედიაცია)ს ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, საკონტაქტო ინფორმაცია. **თუმცა არ არის განთავსებული ინდიკატორით გათვალისწინებული სრული ინფორმაცია მათ შორის პროგრამები და მხარდაჭერის სერვისები (მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის წესი, სსსმ მოსწავლეების მხარდამჭერი მექანიზმები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სხვა), ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები (შინაგანაწესი, გასაჩივრების მექანიზმები).**

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.5 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 24.07.2025-15.09.2025. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს ვებ-გვერდზე ინდიკატორით მოთხოვნილი სრული ინფორმაციის განთავსება, კერძოდ: პროგრამები და მხარდაჭერის სერვისები, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები.</u>

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი

ვებ-გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/308?schoolName

www.facebook.com/LEPLBatumiN16PublicSchool

https://www.facebook.com/share/166ekcw25k/?mibextid=wwXIfr

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, სადაც გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტი ძირითადად შედგება ვაუჩერული დაფინანსებისგან და ეკონომიური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისაგან. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარის, რესურსების შეძენასა და კომუნალურ გადასახადებზე სკოლა ფინანსურად მდგრადია. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ხმარდება ყველა იმ საჭირო საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ნორმალურად წარმართვისათვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ფინანსური ანგარიშგების მიზნით, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს. სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების დაგეგმვას, ცვლილებას, განკარგვასა და მონიტორინგს. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტზე დაყრდნობით სკოლას დამტკიცებული აქვს წლიური სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. ასევე, საჭიროებებიდან გამომდინარე ხორციელდება შესყიდვების გეგმის კორექტირება. სკოლის ბუღალტერთან გასაუბრებით დადგინდა, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე ხორციელდება

ინფორმაციის მოძიება საჭიროებების შესახებ. საჭიროებების დადგენას ძირითადად ახდენს სკოლის დირექტორი, შესყიდვაზე პასუხისმგებელი პირი და ბუღალტერი.
ასევე, შემუშავებული აქვს შესყიდვის განხორციელების წესი, განსაზღვრულია შესყიდვების კოორდინატორი, რომელსაც ევალება შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნების სწორად განხორციელება. ასევე, განსაზღვრულია გეგმის კორექტირებაზე პასუხისმგებელი პირიც, ვინც ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში ცვლილებასა და გეგმის კორექტირებას. ფინანსური საჭიროებისა და მოცულობების კვლევის შედეგად ხდება შესყიდვების გეგმის ფორმირება. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხდება სკოლის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელება. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
10 დეკემბრის ანგარიში;
წლიური შესყიდვების შესახებ დირექტორის ბრძანება;
ბრძანება ინვანტარიზაციით ჩატარების შესახებ;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში სრულადაა დაცული მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები. დამტკიცებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის უფლებებს. მოსწავლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლაში მოსწავლეთა დაცვას უზრუნველყოფს 3 მანდატური. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირდება მოსწავლის უფლება-მოვალეობა/წახალისება, დისციპლინური წარმოების თავისებურებები. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლის უფლება მიიღოს ხარისხიანი განათლება და თანაბარ პირობებში. დამტკიცებულია დასაჩივრების პროცედურები. თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი. მოსწავლეებს შეუძლით დისკრიმინაციის გარეში, თანაბრად, სასწავლო მიზნებისათვის ისარგებლონ სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის საგანმანათლებლო სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობას. ასევე ახდენს მოსწავლეებისა და მშობლების პერსონალური მონაცემების სათანადო წესით დამუშავებასა და დაცვას. მშობელს შეუძლია წინასწარი შეთანხმებით შეხვდეს კლასის დამრიგებელსა და მასწავლებელს და გაეცნოს სასურველ ინფორმაციას ინდივიდუალურად ორგანიზებულ შეხვედრაზე, ასევე მშობელთა კრებებზე. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ამა თუ იმ პროცესებზე პასუხისმგებელი პირებისა და სხვადასხვა უწყებებთან უფლებების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მორიგეობის განრიგი და სხვადასხვა შიდა რეგულაციები გამოკრულია სკოლის შესასვლელში და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. გაზიარების ვალდებულება აქვთ დამრიგებლებს ასევე პირისპირ შეხვედრებზე და კლასის კრებებზე. საინფორმაციო შეხვედრების დროს მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ, რათა უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოხდეს დროული რეაგირება. მოსწავლეთა

თვითმმართველობაც ასევე აქტიურადაა ჩართული სკოლის შინაგანაწესის გაცნობაში. კერძოდ, მის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე მოსწავლეებს დეტალურად აცნობს შინაგანაწესსა და მათ უფლება-მოვალეობებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის თითოეული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია მხარეთა უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და გამოყენების პირობები. ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია სკოლის შინაგანაწესი და აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. ხელშეკრულება ხელმოწერილია დირექტორისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

ინდიკატირი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულებები;
სკოლის შინაგანაწესი;
,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილის პირის განსაზღვრის შესახებ“
მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი.
ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების წესის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“
მშობელთა კრების ოქმი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები, რომელშიც მკაფიოდაა გათვალისწინებული პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების მქონე მოსწავლის ჩარიცხვის წესი, მოსწავლის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა და აღდგენა, საფეხურის დაძლევა, სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა. საფეხურის დაძლევის მექანიზმი ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. **მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები ითვალისწინებს იმგვარ დებულებებს, რაც არ შეესაბამება საჯარო სკოლის სტრუქტურას და გათვალისწინებულია კერძო სკლებისათვის. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ სკოლის გენერალური დირექტორის ბრძანება იტვირთება მართვის საინფორმაციო სისტემაში. საჯარო სკოლას არ ჰყავს გენერალური დირექტორი. ასევე, არ შეესაბამება საჯარო სკოლის უფლებამოსილებას ამავე მუხლის მე-8 პუნქტი, სადაც მითითებულია, რომ მობილობის დროს მოხდება თანხის უკან დაბრუნება და მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური დავალიანების შემთხვევაში მოსწავლისათვის სტატუსის შეწყვეტას. აღნიშნული დებულებები ასევე გათვალისწინებულია მხოლოდ კერძო სკოლების საქმიანობისათვის**

ამდენად სკოლის მიერ განსაზღვრული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები არ შეესაბამება საჯარო სკოლისთვის დადგენილ კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

<u>სკოლამ წარმოადგინა კორექტირებული „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები“, რომელშიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება.“</u>

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს და ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება სკოლასა და საკლასო ოთახებში არსებული თავისუფალი ადგილების გათვალისწინებით. მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა ახალი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება. საშემოდგომო გამოცდების ჩატარებამდე სკოლაში შემუშავებული რემედიაციის პროგრამით სარგებლობენ მოსწავლეები. გამოცდების შედეგები ფორმდება საგამოცდო კომისიის ოქმით და გამოცდის შედეგები მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ენიშნებათ მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. საგამოცდო კომისია განიხილავს

გამოცდების შედეგებს. ფორმდება საგამოცდო კომისიის ოქმი. გამოცდის შედეგებს ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი. სტატუსის შეჩერება ხდება მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

მშობელთა კრების ოქმებით დგინდება, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ ინფორმაციას. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, სასკოლო ექსკურსიებისა და ღონისძიებების შესახებ.ინფორმაციის გავრცელება ხდება ასევე სოციალური ქსელისა და დახურული ჯგუფების საშუალებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდატით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომუნიკაციის წესი სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს აკისრებს ვალდებულებას, ინფორმაცია სასწავლო გეგმის, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ გაავრცელოს მხოლოდ განახლებული და გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და კანონმდებლობის შესაბამისი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები;

მშობელთა კრების ოქმი;

მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ ბრძანება;
სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანება;
მოსწავლის ამორიცხვის შესახებ ბრძანება;
საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

მოსწავლეს, სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში ხელს უწყობს დამრიგებელი და საგნის პედაგოგები. მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით ხდება: -აქტივობების დაგეგმვა. მაგალითად: კლასის საათი, ექსკურსია, საგაკვეთილო პროცესის გადატანა სკოლის გარეთა სივრცეში, ფილმის ჩვენება, თეატრში ვიზიტი და სასკოლო სივრცეში თეატრალური წარმოდგენის გამართვა; -მოსწავლეთა ჩართვა სასკოლო კლუბებში, პირველკლასელებისთვის და მათი მშობლებისთვის ეწყობა ღია კარის დღე, პატარები ეცნობიან სასკოლო სივრცეს, პედაგოგებს. სკოლის განლაგებას. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის იგეგმება სხვადასხვა ღონისძიებები. მაგალითად დედამიწის დღე, დედაენის გაცილება, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან მიძღვნილი კვირეული,რომელიც არის სკოლის ტრადიცია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში მოსწავლის ადაპტაციის მიზნით დამრიგებელი, მოსწავლეებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, მათი უფლებებსა და მოვალეობებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მობილობის შედეგად ჩარიცხული მოსწავლის ადაპტაციას. ხდება მოსწავლეების ინიციატივების წახალისება, სირთულეების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა. მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია თავისუფალი სივრცე აქტივობის დასაგეგმად და განსახორციელებლად. მაგალითად ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, სპორტის დარბაზი, კინო სტუდია, მცირე დარბაზი, დასასვენებელი სივრცეები, სკოლის ეზო. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის კითხვარი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად კონსულტაციებისა და მხარდაჭერის მიზნით სკოლა ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ხარისხის შესამოწმებლად ტარდება სადიაგნოსტიკო წერები, რომლის შედეგების გათვალისწინებით პედაგოგები გეგმავენ საგაკვეთილო პროცესს და მოსწავლეებს აძლევენ რჩევებსა და რეკომენდაციებს. ასევე ექსტერნატისა და საშემოდგომოს გამოცდების შემთხვევაში ყველა საგამოცდო საგანში მოსწავლე უზრუნველყოფილია კონსულტაციის მიღების შესაძლებლობებით, რემედიაციის პროგრამით. დამრიგებელი იღებს ინფორმაციას მასწავლებლებისაგან თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემებისა და წარმატებების შესახებ, ასევე დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სხვა პრობლემების გადაჭრაში. დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლისა და მშობლის ინფორმირებას, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით) იმისათვის, რომ დროულად მოხდეს სკოლის მხრიდან დახმარების გაწევა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, დირექცია უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდებას, რათა მათ საკუთარი უფლების დაცვის რეალიზების საშუალება ჰქონდეთ. კერძოდ, მიეწოდებათ ინფორმაცია, აქვთ თუ არა ექსტერნატის გამოცდა, საშემოდგომო გამოცდა, სემესტრული გამოცდა. ასევე რა ვადებში შეუძლიათ აღნიშნული გამოცდების ჩაბარება. ეცნობათ მათი დარღვეული უფლების აღსადგენად გასაჩივრების უფლებისა და გასაჩივრების წესის შესახებ. სკოლა აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს, რომ

მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრებაში. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, ასევე მოსწავლეებთან კლასის კრებაზე ახდენენ მათთვის უფლებების და მოვალეობების გაცნობას. ამასთან, იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლაში სრულადაა უზრუნველყოფილი დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა. განხორციელებულია მრავალფეროვანი საინტერესო ღონისძიებები. კერძოდ, სკოლის დირექციის მხრიდან განსაკუთრებით გამოიყო სკოლაში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე – 1 ივნისი. როგორც აღინიშნა ამ დღეს ისინი წლების განმავლობაში ტრადიციულად აღნიშნავენ მოსწავლეების მხარდაჭერის, აღიარებისა და სიყვარულის გამოსახატად. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა მხიარული აქტივობები, შემოქმედებით ვორქშოფები, ნახატების გამოფენა, წახალისდნენ მოსწავლეები. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების კლუბები: სამოქალაქო განათლების კლუბები ,,მოხალისეები' და ,,იდეატორი', ეკოკლუბი-,,მწვანე სამყაროს მკვლევრები", TV16 -სკოლის ტელევიზია, ,,სკოლის რედაქცია', ,, გერმანული ენის კლუბი ,,წიგნების ხიდი', ,,მუსიკის კლუბი", ,,მოგზაურობის კლუბი",ინკლუზიური განათლების კლუბი ,,აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერა', მეწარმეობის კლუბი- ,,კარიერული გზავნილი მოსწავლეებისთვის',ლიტერატურული კლუბი ,,სამანი", წიგნის კლუბი ,,იგი-ნი", გეოგრაფიის კლუბი,,დედამიწის ქომაგები". სამოქალაქო განათლების კლუბი ,,იდეატორი,"სკოლამ მიიღო აჭარის რეგიონის ჯილდო ,,წლის დემოკრატიული სკოლა"ხოლო კლუბის მეურვე მასწავლებელმა მიიღო აჭარის რეგიონის წლის საუკეთესო სამოქალაქო მასწავლებლის ჯილდო. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი ,,მოხალისეები". რომლის მიზანია საგანმანათლებლო სივრცეში, მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, დამოკიდებულებების, სწორი ღირებულებების ჩამოყალიბება. კლუბში მოსწავლეები მუშაობენ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, იმართება დისკუსიები. სამოქალაქო განათლების კლუბები აქტიურად მონაწილეობდნენ USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის გარგლებში შემოთავაზებულ აქტივობებში. სკოლაში მუშაობს ეკო- კლუბი: ,,მწვანე სამყაროს მკვლევარები". სკოლაში ფუნქციონირებს მოგზაურობის კლუბი, რომლის საქმიანობის მიზნებია: კულტურული გაცვლები და ცოდნის გაძლიერება, მოგზაურობის გამოცდილების გაზიარება. სკოლაში ფუნქციონირებს წიგნისა და ლიტერატურული კლუბი, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეებისგან დაკომპლექტებულ მკითხველთა ჯგუფს, რომლის ყველა წევრი ერთსა და იმავე წიგნს კითხულობს. კონკრეტულ დროს, წაკითხულის შესაჯამებლად, განსახილველად და სადისკუსიოდ თუ სხვა აქტივობის

განსახორციელებლად ჯგ უფი ერთად იკრიბება. სკოლაში მუშაობს გამომცემლობა -კლუბი ,,მაშასადამე“ , რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჟურნალისტური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. გამომცემლობა რეგულარულად (თვეში ერთხელ) გამოსცემს ჟურნალს, სადაც ასახულია სკოლის სიახლეები, ლიტერატურული ნამუშევრები და ინტერვიუები. ის აშუქებს სკოლისა და თემის ცხოვრებას, აძლევს მოსწავლეებს თვითგამოხატვისა და მედიასთან მუშაობის შესაძლებლობას. ასევე დაფუძნებულია გეოგრაფიული კლუბი ,,დედამიწის ქომაგები“, ისტორიის კინოკლუბი ,,გრაალი”, რომლის ყველა წევრი , ფილმის სანახავად , შესაჯამებლად, განსახილველად და სადისკუსიოდ თუ სხვა აქტივობის განსახორციელებლად, ერთად იკრიბება. კლუბი იკრიბება თვეში ორჯერ .ირჩევს სასურველ ფილმს. ერთად უყურებენ და შემდგომ განიხილავენ. .თითოეულ მოსწავლეს ეძლევა საშუალება დააფიქსიროს და გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და გაუზიარონ შთაბეჭდილებები ერთმანეთს. სკოლის კლუბები მონაწილეობდნენ აჭარის განათლების და სპორტის მიერ გამოცხადებულ სასკოლო კლუბების კონკურსში . ,,სასკოლო კლუბების განვითარება “ პროექტები: გოეთე აერთიანებს სამყაროს-წიგნების ხიდი”. ვენის კლასიკოსების პაზლი“,,მოგზაურობის კლუბი”. ,,აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერა“.,,კარიერული გზავნილი ახალგაზრდებისთვის” ,,სასკოლო ტელევიზია, როგორც სკოლის მოსწავლეთა შესაძლებლობების რეალიზებისა და მათი საზოგადოებასთან ინტეგრირების საშუალება”. ,,მე -20 საუკუნე მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებში”. სკოლა ჩართულია სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის არაფორმალური განათლების ქვეპროგრამის პროექტში ,,საქართველოში მცხოვრები ლტოლვილი მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებაზე ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა“, ასევე. ,,ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი ბათუმის 10 სკოლაში ახორციელებს პროექტს ,,წყალი,გარემო და ჯანმრთელობა მოზარდის უსაფრთხო მომავლისთვის“, რომლის პარტნიორია გაეროს ბავშვთა ფონდი (UNISEF). პროექტის თემებია: სასმელი წყლის რესურსები,ხარისხი და ხელმისაწვდომობა, წყალთან დაკავშირებული კატასტროფები, შიდა ჰაერის დაბინძურების წყაროები და ტიპები, წყალმომარაგების სისტემები. სკოლა დაჯილდოვდა ესტონეთში, ქ. ტალინში, როგორც მეწარმეობის სფეროში წარმატებული სკოლის მაგალითი. ღონისძიება გაიმართა ევროპის სამეწარმეო ფესტივალის ფარგლებში, სადაც წარდგენილი იყო წლის საუკეთესო სკოლები ევროპის 800 -მდე სკოლიდან Junior-Achievement-ის პროგრამის ფარგლებში. აღიარება სკოლამ მიიღო საგანმანათლებლო სივრცეში მეწარმეობრივი განათლების წარმატებით ინტეგრირების, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერისა და ინოვაციური პროექტების განხორციელებისთვის. ფესტივალზე გაუზიარეს მოსწავლეთა ინიციატივები და სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობის მაგალითები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და სპორტის სამინისტრო 2024 წლიდან ახორციელებს პროექტს სახელწოდებით - "პროექტი ჩემს გაკვეთილზე", რომლის მიზანია მასწავლებელთა საქმიანობის მხარდაჭერა და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში საკლასო აქტივობების გამრავალფეროვნების ხელშეწყობა. სკოლამ გაიმარჯვა სამ პროექტში : სამართლებრივი კულტურა, მწვანე მეწარმეები,უცნობი აჭარელი გმირები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას. ამისთვის ყოველთვის არის მზაობა უკუკავშირის მიღებაზე სკოლის პროგრამების, არაფორმალური აქტივობების შესახებ. მიღებული ინფორმაციის გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლამ გაითვალისწინა მოსწავლეთა სურვილი და მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანიზებით და ადმინისტრაციის ხელშეწყობით სკოლაში ჩატარდა მინი ფეხბურთის ჩემპიონატი და კალათბურთის ჩემპიონატი საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შორის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
კლუბში გაწევრიანების სარეგისტრაციო ფორმა;
მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება;
მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი;
მასწავლებლების მიერ განხორციელებული საკლუბო პროექტები;
საინფორმაციო კითხვარები;
www.facebook.com/LEPLBatumiN16PublicSchool
ბიბლიოთეკის პროექტი;
კათედრების პროექტები;
მასწავლებლების ინდივიდუალური ანგარიშები არაფორმალური განათლების შესახებ;
მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
სასკოლო კლუბების პროგრამები და წესდებები;
ჟურნალი ,,მაშასადამე“.
მოსწავლის ადაპტაციის კითხვარი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მოსწავლეებისათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად გამორჩეულია სასკოლო კლუბების ჩართულობა. სკოლაში გერმანია-საქართველოს შორის ორმხრივი განათლების პროექტის ფარგლებში გაიმართა გერმანიის სახელოსნო პალატის პროექტის „CRAFT"-ისა და გერმანული ენის ცენტრის „Wissen"- ის წარმომადგენლებს შორის საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრის მიზანი იყო გერმანიაში დუალური პროფესიული განათლების, პროფესიული პრაქტიკის და მუშაობის შესაძლებლობების შესახებ პრეზენტაციის წარდგენა, რასაც სკოლის პედაგოგები, მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ესწრებოდნენ. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ 330-ზე მეტ პროფესიაში დუალური განათლება, პრაქტიკა და მუშაობა სამი ძირითადი მიმართულებით მიიღონ: სახელოსნო, ინდუსტრია - ელექტროინჟინერია და სამედიცინო მიმართულებები. პროექტი ხორციელდება ერფურტის სახელობო პალატის მიერ ევროკავშირის დაფინანსებით. გერმანული მხარის წარმომადგენლებმა პასუხები გასცეს ღონისძიებაში მონაწილეთა შეკითხვებს და დასახეს სამომავლო თანამშრომლობა. ,,ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი ბათუმის 10 სკოლაში ახორციელებს პროექტს ,,წყალი,გარემო და ჯანმრთელობა მოზარდის უსაფრთხო მომავლისთვის" რომლის პარტნიორია გაეროს ბავშვთა ფონდი (UNISEF) პროექტის თემებია: სასმელი წყლის რესურსები,ხარისხი და ხელმისაწვდომობა.წყალთან დაკავშირებული კატასტროფები.შიდა ჰაერის დაბინძურების წყაროები და ტიპები.წყალმომარაგების სისტემები. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სკოლა ჩართული იყო, როგორც მონაწილე და მასპინძელი სკოლა. მოსწავლეები ღია კარის დღეზე ყოველწლიურად სტუმრობენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც ეცნობიან სასწავლო პროგრამებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას კოლეჯებისა და უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ პროგრამების შესახებ. მოსწავლეები მშობლებთან ერთად ადგილზე ეცნობიან შეთავაზებულ პროფესიებს. ასევე სკოლის ადმინისტრაცია ინტენსიურად იწვევს კოლეჯებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლებს პრეზენტაციების წარმართვის მიზნით, საკუთარი სერვისების შეთავაზებისთვის. სკოლის მასწავლებლების ხელმძღვანელობით იგეგმება ვიზიტები სხვადასხვა დაწესებულებებში, მაგალითად განხორციელდა ვიზიტი სასამართლოში, პროკურატურაში, ტელევიზიაში, ასევე იმართება მოსწავლეების შეხვედრა სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენლებთან. სკოლამ უმასპინძლა საქართველოსა და ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებს, რომელთა ვიზიტები მიზნად ისახავს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერას. სტუმრების მიერ ჩატარებული საინფორმაციო სესიები, პრეზენტაციები და პრაქტიკული შეხვედრები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს უკეთ გაიაზრონ საკუთარი ინტერესები, მიიღონ ინფორმაცია პროფესიული და აკადემიური მიმართულებების შესახებ და გაცნობიერებულად დაგეგმონ საკუთარი მომავალი. მოსწავლეებმა განახორციელეს ვიზიტები კოლეჯებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. მოსწავლეთა კარიერული განვითარებისა და ევროპული გამოცდილების ინტეგრაციის მიზნით სკოლა აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას განათლებისა და დასაქმების საერთაშორისო შესაძლებლობებზე. რეგულარულად ეცნობიას ევროპული უნივერსიტეტების სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და კარიერული განვითარების მოდელებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასებას ახდენს შემუსავებული კითხვარებისა და მათი ანალიზის საფუძველზე, რომლის შედგეად უზრუნველყპფს განხორციელებული პროცესებიდან ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრას, ასევე, ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს მისი დაძლევის სტრატეგიებს. აღნიშნულის გამოკვეთის მიზნით ასევე გამოყენებულია კათედრის ანგარიშები და SWOT ანალიზი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კათედრების სამოქმედო გეგმები;

წლის სამეწარმეო სკოლა-ევროპის ფესტივალი-სოციალური ქსელის ლინკი;
https://www.facebook.com/share/166C5RCXSs/?mibextid=wwXIfr
https://www.facebook.com/share/18fyXSsmcZ/?mibextid=wwXIfr

მშობელთა ჩართულობის სოციალური სოციალური ქსელის ლინკი;

გერმანული ენის ცენტრთან თანამშრომლობა-სოციალური ქსელის ლინკი;

პროექტი ,,წყალი,გარემო და ჯანმრთელობა მოზარდის უსაფრთხო მომავლისთვის"-სოციალური ქსელის ლინკი;

საგანმანათლებლო ვიზიტების ევროპის სკოლებში-სოციალური ქსელის ლინკი;
www.facebook.com/LEPLBatumiN16PublicSchool

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი (ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა). მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესებთან დაკავშირებული სირთულეების შემთხვევაში სკოლა ხელმძღვანელობს პირველადი მართვის გეგმით. სასკოლო სასწავლო გეგმა ასევე ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების საკითხებს, განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მიმართულებას. სკოლას ყავს 24 სსსმ მოსწავლე, 4 სპეციალური მასწავლებელი, 4 სსსმ მოსწავლის ასისტენტი. სსსმ მოსწავლეებისათვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. პერიოდულად ხდება აღნიშნული გეგმების მონიტორინგი, რომლის შედეგად საჭიროების შემთხვევაში შედის ცვლილებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეების წინსვლასა და განვითარებაზე. მშობლის ჩართულობითა და თანხმობით, მასწავლებლების მონაწილეობით შესაძლებელია მოსწავლის გადაფასების მიზნით მოხდეს მულტიდისციპლინარული გუნდისათვის მიმართვა. გადაფასების შემთხვევაში ხდება გუნდის რეკომენდაციების გათვალისწინება და სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ფორმების დახვეწა. სასწავლო წლის დასაწყისში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული ყველა სპეციალისტი ეცნობა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გაკეთებულ შეფასებას, დასკვნასა და რეკომენდაციებს თითოეულ ბავშვთან მიმართებაში და ამის შემდეგ ახდენენ წლიური სამუშაო

ინდივიდუალური გეგმის და გრაფიკის შედგენას. სამუშაო გეგმაში შეაქვთ ისეთი საკითხები და აქტივობები, რომელიც შეესაბამება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებს. ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტთა მხარდაჭერითა და ინიციატივით ხდება ტრანზიციის ხელშემწყობი ღონისძიებებისა და აქტივობების დაგეგმვა-ჩატარება. დირექცია ახდენს სსსმ მოსწავლეთა სწავლა სწავლების პროცესის შიდა მონიტორინგს, რომლის მიზანია ხარისხიანი ინკლუზიური განათლების დანერგვა. მონიტორინგის მიზნით სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. ისგ ჯგუფი, აქტიურად მუშაობს სსსმ მოსწავლეებთან სრულ ჩართულობაზე, სასწავლო პროცესში. ჯგუფის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ესწრებიან სხდომებს სსსმ მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე. ასევე, აქტიურად თანამშრომლობენ სსსმ მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ჯგუფი იკრიბება წელიწადში არანაკლებ ოთხჯერ, ინდივიდუალური საჭიროებების გეგმის მონიტორინგის, პრობლემების გამოკვეთის და გადაჭრის გზების, ძიების მიზნით. მონიტორინგის ჯგუფი ადგენს დასკვნას, რომელიც კანონის შესაბამისად იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობას;**

სსსმ მოსწავლის სწავლა/სწავლების პროცესისათვის სკოლას აქვს რესურს ოთახი, რომელიც სრულიად აღჭურვილია მოსწავლის საჭიროებებისათვის აუცილებელი სასწავლო მატარიალურ/ტექნიკური რესურსით (ბატუტი, სასკოლო-სასწავლო ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა , საკანცელარიო ნივთები, თვალსაჩინოებები, ზღაპრები, პორტფოლიოები, გამოყოფილი სივრცეები.). სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლაში არის კეთილმოწყობილი და ადაპტირებული სველი წერტილები, ლიფტი და სკოლის სივრცე ხელმისაწვდომია თითოეული სსსმ მოსწავლისათვის. სასწავლო პროცესის დაგეგმვის მიზნით სკოლის ადმინისტრაცია ორგანიზებას უწევს გუნდურ შეხვედრებს. რომლებსაც ესწრებიან მოსწავლის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, სპეც მასწავლებელი და მშობელი. სპეციალური მასწავლებლებს შედგენილი აქვთ სამოქმედო გეგმა და ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები. . მშობლები ასევე აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, ისინი ესწრებიან მშობელთა კრებებს, ინდივიდუალურ შეხვედრებს, ეცნობიან შვილების მიღწევებს, ნამუშევრებს. ასევე ითვალისწინებენ საგნის მასწავლებლების, დამრიგებლის და სპეციალური მასწავლებლის რეკომენდაციებს. საგნის მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ გაკვეთილის გეგმა, სადაც გაწერილია სსსმ მოსწავლის საგაკვეთილო მიზნები და შესასრულებელი აქტივობები. საგნის პედაგოგები ცდილობენ ამ სფეროში კვალიფიკაციის ამაღლებას, იღებენ რეკომენდაციებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და დირექციისგან. სპეც.მასწავლებელთან ერთად მოიძიებენ, გეგმავენ და

ამზადებენ მასალას გაკვეთილისთვის. სსსმ მოსწავლეები ჩართული ჰყავთ სასკოლო აქტივობებში, პრეზენტაციებში, გამოფენებში, სპექტაკლებში, სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.
ინდ.გეგმები.
ბრძანება ისგ-ჯგუფის შექმნის შესახებ
შიდა მინიტორინგის ჯგუფის ანგარიში
სპეც. მასწავლებლის ხელშეკრულება;
ასისტენტის ხელშეკრულება;

სსსმ მოსწავლეების მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

იმის გათვალისწინებით, რომ ახალ შენობაში სკოლამ ფუნქციონირება განაახლა 2024 წლის ოქტომბერში ამ ეტაპზე დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. ამჟამად მიმდინარეობს იჯარის ფორმით ფართის სარგებლობაში

გადაცემისათვის აუცილებელი პროცედურები. სკოლა გეგმავს იჯარის ფორმით გასცეს ფართები სხვადასხვა საქმიანობისთვის, რაც მიზნად ისახავს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, სასწავლო გარემოს განვითარების მხარდაჭერას და ფინანსური სახსრების მოზიდვას. დაგეგმილია ფართის გაცემა ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით, ასევე სპორტული დარბაზისა და ღია სპორტული მოედნის გაიჯარება სპორტული წრეებისა და დარბაზებისა და სივრცეების სახელოვნებო წრეების ფუნქციონირების მიზნით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ფართების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემა განხორციელდება სკოლის სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, რომლის შემდეგაც მოხდება აჭარის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს თანხმობის მიღება, რომელთა საფუძველზეც, აუქციონის სახით, აუდიტის დასკვნის შესაბამისად, ჩატარდება აუქციონი და გამარჯვებულ პირთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. ფართების იჯარით გაცემის თაობაზე ინფორმაცია წარედგინება მაკონტროლებელ ორგანოებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა გეგმავს დამატებითი და არასავალდებულო ხასიათის მომსახურება შესთავაზოს მოსწავლეებსა და მშობლებს, რომლებიც ნებაყოფლობით, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით მიიღებენ გადაწყვეტილებას კონკრეტული მომსახურებით სარგებლობის შესახებ. სურვილის შემთხვევაში მხარეებს შორის მოხდება პირობების გაცნობა, შეთანხმება და შემდგომ მხარეთა შორის გაფორმდება შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება. სკოლის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი მომსახურება მიზნად ისახავს მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(საბაზო საფეხური)**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად: სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს და მიმართულია თანამშრომლობის გზით მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, შემოქმედებითი უნარების განვითარებისაკენ. დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და მიმდინარეობდა სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. პროცესში გათვალისწინებული იქნა მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინტერესები. ასევე, მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს რომ, მათ მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვთ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლთან. გამოკითხვით, ინტერვიუს და ყოველდღიური კომუნიკაციის საშუალებით იკვლევენ მოსწავლეთა, მშობელთა და თემის ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს, საჭიროებებს.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში სრულადაა ასახული სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგან იგი შემუშავდა სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების, დირექციის, მშობლებისა და მოსწავლეების აქტიური მონაწილეობით. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა (მათ შორის,

სსსმ მოსწავლეთა) ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. სკოლის მოსწავლეთა/მშობელთა ინტერესი მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული სასკოლო კლუბებში გაწევრიანებისას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში კათედრის წევრებთან ერთად ჩართული იყვნენ სამეურვეო საბჭოს ,სხვადასხვა საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა, როგორიცაა თვითმმართველობის კომიტეტებად დაყოფა და თემატური მუშაობა, რომელშიც აქტიურად ჩაერთნენ სკოლის მოსწავლეები და თანამშრომლები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

საგნის მასწავლებლები სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს შემუშავებული კურიკულუმების შესახებ, რაც მათი ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების ერთგვარი შესაძლებლობაა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა საგნის მასწავლებლების მიერ მშობელთათვის გაგზავნილ კომპლექსური დავალების ბარათებში, მშობელთა კრებებზე, რომლებიც იგეგმება სასწავლო წლის დასაწყისში. დამრიგებლები მშობლებს აწვდიან წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ ინფორმაციას, აცნობენ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებულ კურიკულუმს, რომელიც გამოკვეთილი იქნა მშობელთა მიერ შევსებული კითხვარის ანალიზის საფუძველზე. მშობელთა უკუკავშირი მუდმივად ეხმარება სკოლას მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ გახდნენ ამ პროცესის თანამონაწილენი და დარწმუნდნენ მოსწავლეზე ორიენტირებული თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების ეფექტურობაში. მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს შექმნილ კურიკულუმებს კათედრის სხდომებზე და თანამშრომლობენ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია;

სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025 სასწ.წ.
დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები
ბრძანება-სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
პედაგოგიური საბჭოს ოქმი
კომპლექსური დავალების ბარათი მშობლებისთვის;
საინფორმაციო კითხვარები;
გაკვეთილის გეგმები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთ-ერთი ძირითადი მეთოდიკური ორიენტირი სწორედ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომაა. მასში განსაზღვრულია, რომ „სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ცდილობს სწავლა-სწავლების დროს მაქსიმალურად გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ყველა მოსწავლე უნიკალური და განსხვავებულია თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით“. კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი დავალებები ძირითადად კომპლექსური ბუნებისაა. მოსწავლეს ეძლევა ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის შესაძლებლობა, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად. **რჩევა** - საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ კურიკულუმის დიზაინის, ჩარჩოს აუცილებელი კომპენენტები და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გამოასწორონ ცალკეული უზუსტობები V-XII კლასის კურიკულუმებში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული სასკოლო კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების მნიშვნელოვან გზას. იგი მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სწავლის პროცესის ორგანიზებას. კურიკულუმი ხელს უწყობს ცოდნის სისტემურ გადაცემას და სწავლების მიზანმიმართულობას. ასევე, ის ქმნის შესაძლებლობას მრავალფეროვანი თემებისა თუ შემაჯამებელთა იდეების საფუძველზე მოსწავლემ გაიღრმავოს ცოდნა. მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმი უზრუნველყოფს აქტიურ სწავლის გარემოს, რაც აუმჯობესებს მოტივაციასა და სწავლის ხარისხს. იგი ასახავს თანამედროვე მოთხოვნებს, მათ შორის კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას.
უცხოური ენები	უცხოური ენების (ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული) კურიკულუმებში მოცემულია მრავალფეროვანი აქტივობები (შემოქმედებითი პროდუქტი (პრეზენტაციის, პოსტერის, პლაკატის და მისთ. სახით), რაც უზრუნველყოფს მოსწავლისთვის საინტერესო სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას, თუმცა სასურველია კურიკულუმში ჩანდეს ის დამატებითი რესურსები, რასაც მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში იყენებენ. გამომდინარე საგნის სპეციფიკიდან, მსგავსი რესურსები მრავლად მოიპოვება ინტერნეტსივრცეში და ხელმისწავდომია ყველასთვის. აღნიშნული რესურსები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში საგნის მიმართ მეტი ინტერესის გაღვივებას.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე მტკიცებულებებით წარმოდგენილი საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/პროექტულისწავლება)ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. თემატური ბლოკის ფარგლებში შერჩეული თემები, საკითხები, შემოქმედებითი დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სამივე საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (კურიკულუმები წარმოდგენილია ყველა კლასისათვის) ასახავს თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო როცესის დაგეგმვისა და განვითარების ეფექტიან გზას. სასწავლო თემატიკა აგებულია მოსწავლის ინტერესებზე, განვითარების ეტაპებისა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ლოგიკით, რაც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. გაწერილია სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, ასევე

	შემოქმედებითი ბუნების დავალებები. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. მიეცათ **რჩევა**, რომ რესურსების სვეტი შეივსოს სრულყოფილად, სახელმძღვანელოს გვერდების, ელ.მისამართებისა და მატერიალური რესურსების მითითებით.
სპორტი	როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე შეირჩა სასკოლო სპორტული ფესტივალების მრავალფეროვანი იდეები, მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, რაც მნიშვნელოვან საფუძველს იძლევა, ვთქვათ, რომ კურიკულუმი მიემართება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ძირითადად წარმოადგენენ სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით, რაც ხელს უწყობს ფოკუსირებულ სწავლას; თითეული საგნის კურიკულუმში ასახულია სავალდებულო თემები, ძირითადი საკითხებისა და საკითხთა კლასტერების ჩამონათვალი, რომლებიც მოსწავლეთა წინარე ცოდნიდან გამომდინარეობს; წარმოდგენილია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება საკითხის უკეთ გააზრებაში;შემოქმედებითი დავალებები (ძირითადად კომპლექსური დავალებების სახით), რაც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას ცოდნის სხვადასხვა კომპონენტი ინტერაქტიულად და თანადროულად გამოიყენოს. **რჩევა:** უფრო სრულყოფილ ინსტრუმენტად ჩამოყალიბების მიზნით, სასურველია კიდევ ერთხელ გადაიხედოს საგნობრივი სტანდარტები. დაზუსტდეს სასწავლო ერთეულის (ცნება/ ქვეცნება, თემა, საკითხი, დავალების იდეა/პირობა(ეს იქნება კომპლექსური დავალება თუ სხვა შემოქმედებითი პროდუქტი, კონტექსტ-მაგალითები და რესურსები...) შესაბამისობა სტანდარტთან და კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის ველთან. (მაგ:მე-3 და მე-4 კლასის მათემატიკის კურიკულუმებში დაზუსტდეს სავალდებულო თემები და თითოეული თემის შესაბამისად აისახოს შუალედურ მიზნად მოაზრებული შემოქმედებითი პროდუქტი.)

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმებში იკვეთება თემების ფარგლებში შევსებული ველების ურთიერთმიმართება. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროექტები ხელს შეუწყობს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარის) განვითარებას. სასწავლო წლის მანძილზე საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ განხორციელებული ინტეგრირებული პროექტები, არაფორმალური აქტივობები და კლუბური მუშაობა გულისხმობს მოსწავლეთა შორის შემოქმედებითი, კრიტიკული და სოციალური უნარების განვითარებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი უკავშირდება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მის მიერ განსაზღვრულ მიზნებს. იგი წარმოადგენს იმ სტრატეგიულ დოკუმენტს, რომლის მეშვეობითაც სკოლა ახორციელებს ეროვნული საგანმანათლებლო პრიორიტეტების პრაქტიკაში გადმოტანას. კურიკულუმი ასახავს ზოგად ეროვნულ მიზნებს კონკრეტულ სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს მათ ეტაპობრივ და სისტემურ განხორციელებას. ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შექმნილი კურიკულუმი ეხმარება სკოლას, ჩამოაყალიბოს სასწავლო გარემო, რომელიც შესაბამისობაშია ქვეყნის განათლების ფილოსოფიასთან. იგი ასევე უზრუნველყოფს განათლების ხარისხის ერთიან სტანდარტს. კურიკულუმის მეშვეობით იქმნება ბმა მოსწავლის საჭიროებებსა და ეროვნული მიზნების მიღწევას შორის.
უცხოური ენები	კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, ის თემები და აქტივობები, რომლებიც კურიკულუმებშია მოცემული, თანხვედრაშია ესგ-ს უცხოური ენების მისაღწევ შედეგებთან, თუმცა სასურველია კურიკულუმებში ჩანდეს მეტი დამატებითი რესურსი, როგორც სასწავლო პროცესის გაუმჯობესების კიდევ ერთი ინსტრუმენტი.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნების სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , განსაზღვრულია თემატური ბლოკები/თემები/საკითხები ფარგლებში, სადაც მუშავდება

	ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურების შედეგები და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ კურიკულუმებში მკაფიოდ იკითხება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთან თანხვედრაში არსებული ღირებულებითი, ცოდნასა და უნარებზე დაფუძნებული მიზნები. კურიკულუმებში ასახული დავალებები, მათი განხორციელების გზები, პროცესი გრძელვადიან მიზნებს მიემართება. ყველა კლასის კურიკულუმში გამოკვეთილია სამიზნე ცნებები და შედეგები.
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე. გარდა კურიკულუმში შეტანილი კომპლექსური დავალებებისა, წარმოდგენილია სხვა სახის შემოქმედებითი ბუნების დავალებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები, მაგალითად, პროექტები, რომლებიც ასევე შუალედურ მიზანს ემსახურება. **მიეცათ რჩევა,** რომ კურიკულუმში სვეტის სახელწოდება: „კომპლექსური დავალების იდეა“ ჩანაცვლდეს შემოქმედებითი დავალებით და მასში შეიტანონ ყველა სახის დავალებები, რაც იძლევა შემოქმედებით პროდუქტს და ემსახურება შუალედურ მიზანს, ასევე თემის სახელწოდებები შეიტანონ მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით და არა სახელმძღვანელოს თემებითა და ქვეთემებით.
სპორტი	კურიკულუმებში ყველა თემას ახლავს კომპლექსური დავალების იდეა - შიდა სასკოლო ან საკლასო სპორტული ფესტივალები. თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება არის დამუშავებული. სპორტული ფესტივალების განხორციელებით მასწავლებელი უზრუნველყოფს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას.
ტექნოლოგიები	„კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთაინტერესებს. **რჩევა:** სასურველია, მასწავლებელმა მომავალში დაგეგმვის პროცესში მკაფიოდ წარმოაჩინოს ყველა ის ეტაპი, რაც აჩვენებს, როგორ უკავშირდება შემოქმედებითი დავალება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს.“

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოსწავლის სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისა და თითოეულ საგანში სწავლის შედეგების/კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობას. მოსწავლეს შეუძლია ინფორმაციის გააზრება საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით; კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და იძლევა ფუნქციური უნარების განვითარების შესაძლებლობას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები,მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნისკურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, მოსწავლეებას უბიძგებს გამოიყენონ სწავლის სხვადასხვა სტრატეგია. მოსწავლე შეძლებს - ინფორმაციის მოძიებას, ანალიზს, დასკვნის გამოტანას, პრობლემის გადაჭრასა და მიღებული ცოდნის ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებას. რაც ჯამში უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია სკოლის მიერ. კონკრეტულად, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები – მათ შორის სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული მასალები, ასევე თემატურად შერჩეული დამატებითი წყაროები – ეფექტურად ემსახურება მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები ახერხებენ მათ ინტეგრაციას სასწავლო პრაქტიკაში, რაც ხელს უწყობს როგორც აკადემიური, ისე სოციალური და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. **რჩევა:** სასურველია სკოლამ კიდევ მეტად მრავალფეროვანი რესურსი შესთავაზოს მოსწავლეებს, როგორც წყაროები, ასევე ფილმები, პრეზენტაციები და სხვა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი დამატებითი რესურსია შემოთავაზებული. ასევე საჭიროა, მეტად კონკრეტული ინფორმაცია

	წარმოადგინონ კურიკულუმში რესურსის შესახებ. ეს იქნება კონკრეტული ბმული, ფილმის სახელწოდება თუ სხვა.
უცხოური ენები	კურიკულუმებში მოცემულია როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი რესურსები, თუმცა სასურველია დამატებითი რესურსების მეტი რაოდენობა.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა სრულად აღჭურვილია თანამედროვე მატერიალური რესურსებითი. სასკოლო სასწავლო გეგმაში წამოდგენილია მატერიალური/ფინანსური/საინფორმაციო რესურსების შესახებ ინფორმაცია. საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. ამას ადასტურებს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიერ შექმნილი მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში ძირითად რესურსად მითითებულია სახელმძღვანელო. ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გამოკვეთილია ძირითადი და დამხმარე რესურსები. ზოგიერთი კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, გარდა სახელმძღვანელოს მასალისა, მითითებულია დამხმარე რესურსები კონტექსტ მაგალითების, დამატებითი ტექსტების, საკითხზე მუშაობისათვის საჭირო ვიდეობმულების სახით. აღნიშნული რესურსები შერჩეულია მიზნობრივად და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მათემატიკა	სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აქტიურად იყენებენ ლ.რესურსებს რის საშუალებასაც იძლევა სკოლაში არსებული კომპიუტერული ბაზა. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, იყენებენ მატერიალურ რესურსებს, მაგრამ ყველა არაა ასახული კურიკულუმში. **მიეცათ რჩევა**, რომ კურიკულუმში სვეტის სახელწოდება "რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისათვის" შეიცვალოს "სასწავლო რესურსებით" და ყველა რესურსი, რასაც იყენებენ თემის დამუშავებისას შეიტანონ კურიკულუმებში.
სპორტი	კურიკულუმებში ყველა თემასთან მიმართებით მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ მრავლფეროვანი რესურსები ლინკების სახით. აღნიშნული რესურსები სწავლის პროცესში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, წინსვლას და უზრუნველყოფს თემის უკეთ გააზრებას. მასწავლებლები ეფექტურად იყენებენ თავიანთ მიერ შექმნილ პრეზენტაციებს: ჯანსაღი კვება, ფიზიკური აქტივობა, რაციონალური

	ძილი, ჯანსაღი ცხოვრების წესი - წარმატების საფუძველი, რაგბი - გუნდურობა, ჯანმრთელობა და წარმატება.
ტექნოლოგიები	მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსებს, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას, ძირითადი რესურსი რასაც იყენებს სწავლა-სწავლების პროცესში არის school.emis.ge. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმის ჩარჩოში ძირითად რესურსებთან ერთად ასევე, ჩანდეს ყველა ის დამატებითი რესურსი რასაც მასწავლებელი იყენებს სწავლის შედეგების მისაღწევად
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები როგორც შინაარსობრივად, ასევე ფორმატით შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან და მიზნებთან. მრავალფეროვანი საგნობრივი რესურსები კურიკულუმში მორგებულია კონკრეტულ სამიზნე ცნებებსა და უნარებზე დაემსახურება მათ გააზრებას. უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებას. **რჩევა**: სასურველია ყველა საგნობრივ კურიკულუმში კონკრეტულად ჩანდეს თემა და საკითხი სახელმძღვანელოს რომელ გვერდებს მოიცავს.(მაგ: ბუნებისმეტყველების (IV კლასის) კურიკულუმში, სასწავლო რესურსების სვეტში არ არის მითითებული გვერდები გრიფირებული სახელმძღვანელოდან.)

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმის მიმართულების „სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება“ აქტივობებში ვკითხულობთ შემდეგს: „რევიზიისა და მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების შემუშავება; საჭიროების შემთხვევაში შემუშავებული პროგრამების/კურიკულუმების მოდიფიცირება; საჭიროების შემთხვევაში რემედიაციის პროგრამის შემუშავება“. ყოველივე ეს დასტურდება საბუნებისმეტყველო საგნებში შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავო პროცესში მოდიფიცირებას უკეთებენ აქტივობებს, ასევე შემუშავებული აქვთ დავაალებების მენიუ

	მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ახლი სასწავლო წლიდან კი ისგ შემუშავება მოხდება კანომდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. ბიოლოგიის მასწავლებელი თვითშეფასეფასებაში აღნიშნავს, რომ მათი მიზანია თითოეული მოსწავლე იყოს ჩართული და შეძლოს საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოყენება. გარდა ამისა, მოსწავლეებს აძლევენ შემოქმედებითი პროდუქტის ფორმის არჩევანის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალების პირობებში ვკითხულობთ: • მაკეტის/ნახატის/სქემის სახით უჯრედის და ქალაქის სტრუქტურებს შორის ანალოგის ასახვა; • შენი ნაშრომი შეიძლება წარმოადგინო ფლიპჩარტზე ან შენთვის სასურველ ელექტრონულ ფორმატში, ან მაკეტის სახით; • მოამზადეთ პრეზენტაცია კედლის პოსტერის ან PowerPoint პროგრამით; • შექმენით ვიდეოჩანაწერი ან პრეზენტაცია. შდეგად, სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია მოსწვალის მხარდამჭერ ორგანიზებულ სივრცედ.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა დამაკმაყოფილებლად ახორციელებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს სასწავლო პროცესში აშკარად ჩანს მცდელობა, ყველა მოსწავლის უნარების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მოხდეს სწავლა-სწავლების ორგანიზება. მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ტიპის აქტივობებსა და საშუალებებს იმისთვის, რომ უზრუნველყონ ყველა მოსწავლის ჩართულობა, მათ შორის მათიც, ვინც განსაკუთრებულ საგანმანათლებლო საჭიროებებს ავლენს. აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებშიც იკვეთება როგორც დიფერენცირებული, ასევე ინკლუზიური მიდგომები. სკოლის სასწავლო გარემო ხელს უწყობს ინკლუზიურობის პრინციპების დაცვას. **რჩევა:** სასურველია, დიფერენცირებულ მიდგომებს უფრო აქტიურად მიმართოს სკოლამ. მოსწავლეებს მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება როგორც დავალების ფორმატის, ასევე შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილში. აღნიშნული მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოავლინონ ინდივიდუალური შესაძლებლობები, ასევე გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას.
უცხოური ენები	**რჩევა:** სასურველია კურიკულუმებში ჩანდეს დიფერენცირებული მიდგომის მაგალითები, მაგალითად, შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენის ფორმის არჩევის საშუალება მოსწავლის მხრიდან, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მეტ დაინტერესებას და საკუთარი უნარების უკეთ წარმოჩენას. ასევე სასურველია კურიკულუმში ჩანდეს შემოქმედებით პროდუქტზე ან მინი-

	პროექტზე ჯუფური მუშაობის რამდენიმე მაგალითი, სადაც ჯგუფის დავალებები მოსწავლეთა უნარების მიხედვით იქნება გადანაწილებული.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ინკლუზიური განათების სწავლების ამოცანები და შინაარსი. წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მასწავლებლებმა ინტერვიუზე იმსჯელეს კონკრეტული სამიზნე ცნებების, აქტივობების სასწავლო მიზნების შესაბამისად როგორ ახდენენ სასწავლო პროცესის დიფერენცირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ამას ადასტურებს კათერდის მიერ წარმოდგემნილი კონკრეტული ინდგეგმების ნიმუშები. დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.
სახელმწიფო ენა	კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები დაწყებითი და საბაზო საფეხურებისათვის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ფლობენ ინკლუზიური, დიფერენცირებული სწავლების განხორციელებისათვის საჭირო ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, რაც გამოიხატება მათ მიერ სხვადასხვა სწავლის ტიპის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებაში, დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტების გამოყენებაში (სასწავლო მენიუ, სასწავლო გაჩერებები...), კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და უნარების გათვალისწინებასა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვაში.
მათემატიკა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური, სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები, ყველა საფეხურზე წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ადაპტირებული (როგორც ტესტური, ისე კომპლექსური) დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები შეფასებებითა და ანალიზით.
სპორტი	სასწავლო პროცესი ხორციელდება დიფერენცირებული მიდგომებით, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ეს კარგად ჩანს წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში. ინტერვიუზე გამოიკვეთა, მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი შესაძლებლობებით და სწორედ ამიტომ კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და ინტერესებს. **რჩევა:** დაწყებით საფეხურზე მე-4 და მე-5 კლასის ისგ-ში მასწავლებელმა დააკორექტიროს ცნებები.
ტექნოლოგიები	ყველა რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლესთვის და გათვალისწინებულია მოსწავლეთა მოთხოვნილებები , რაც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში.

	რჩევა: სასურველია აქტივობები ისე იყოს დაგეგმილი და გაწერილი, რომ მკაფიოდ ჩანდეს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის შინაარსი და წარმოდგენილი ისგ-ები იძლევა საფუძველს სასწავლო პროცესის ინკლუზიურობაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს მოსწავლის პროგრესისათვის გააზრებული აქვთ დიფერენცირებული მდგომების მნიშვნელობა. აღნიშნეს, რომ საჭიროებიდან გამომდინარე ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას. გამოთქვეს მზაობა კურიკულუმით დაგეგმილია ქტივობებისა და დავალებების პირობაში მოსწავლეთათვის სასწავლო პროცესის კიდევ უფრო დინამიური და პროდუქტიული გახადონ სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლის შეფასების სისტემა. ბიოლოგიის მასწავლებლის თვითშეფასების ანალიზიში აღნიშნულია - „ვცდილობ შეფასება არ შემოიფარგლოს მხოლოდ ქულებით და შედგებოდეს კონსტრუქტიული უკუკავშირისგან".საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს დამატებით განმარტეს, რომ ყოველი შემაჯამებილი სამუშაოს შემდეგ მოსწავლეებს დეტალურად აძლევენ უკუკავშირს. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ასევე შეფასების სისტემა ეხმარება მოსწავლეებს შედეგების მისაღწევად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრონციპებთან. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია როგორც ცოდნის შემოწმება, ისე უნარების. შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ ტესტური ფორმებით – მასში შედის სხვადასხვა სახის ფორმატული და შემაჯამებელი მეთოდი, რაც ეხმიანება გეგმით განსაზღვრული მრავალმხრივი შეფასების მიდგომას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები იყენებენ ცხადად ფორმულირებულ კრიტერიუმებს, რათა შეფასება იყოს ობიექტური, გამჭვირვალე და განვითარებაზე ორიენტირებული. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ სკოლა რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს. სკოლა იყენებს როგორც

	განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების ფორმებს. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია სხვადასხვა აქტივობისთვის შერჩეული შეფასების ფორმები. **რჩევა:** შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.
უცხოური ენები	მოსწავლეთა შეფასების სისტემა არის საერთო ჯამში ესგ-ს პრინციპების, მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი, თუმცა გამნავითარებელი შეფასების ცალკეული ნიმუშები არის ზოპგადი და არ იძლევა დეტალურად შეფასების საშუალებას. სასურველია კრიტერიუმები ჩაშლილი იყოს კონკრეტული თემების შესაბამისად და იძლეოდეს გრადაციის საშუალებას (წარმატებული / კარგი/საშუალო/საშიროებს დახმარებას), რათა მეტის მიმცემი იყოს მოსწავლისთვის და დაანახოს ის შედარებით სუსტი მხარეები, რაზეც საჭიროებს მეტ მუშაობას. აქვე აღვნიშნავ ფრანგული ენის თემის შეფასების რუბრიკას, რომელიც კარგადაა გაწერილი და იძლევა უფრო კონკრეტული შეფასების საშუალებას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები კათედრას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს სამივე საფეხურზე კონკრეტული თემის ფარგლებში შეფასების რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივოებებთან მიმართებით მოსწავლეთა შეფასების შესახებ. ასევე იმსჯელეს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ისტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ სწავლა სწავლების პროცესში მოსწავლის ცოდნის დონის დიაგნოსტირებისთვის და განვითარებისთვის.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებში ნათლად ჩანს მოსწავლეთა შეფასების სისტემის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებთან. შეფასების რუბრიკები (როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი) არის კონკრეტული, კონკრეტულ დავალებებზე მორგებული და ზუსტად ასახავს სასწავლო მოლოდინებს. შეფასების სქემებში ასახული კრიტერიუმები თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგად ინდიკატორებს ეფუძნება და აკონკრეტებს მათ. კათედრასთან ინტერვიუს დროს

	კარგად გამოიკვეთა, რომ შეფასება მოსწავლეთა განვითარების დონის დიაგნოსტირებისა და სწავლების ხელშემწყობ საშუალებად აღიქმება.
მათემატიკა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრებს დართული აქვს რუბრიკის მიხედვით გაკეთებული როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება.
სპორტი	მასწავლებლებს კურიკულუმში გაწერილი ყველა თემისთვის წარმოდგენილი აქვთ შეფასების რუბრიკები, რომელიც უკუკავშირს აწვდის მასწავლებელს მისი სწავლების და მოსწავლეს მისი სწავლის პრაქტიკის შესახებ. შეფასებისას მიღებული შედეგები გამოიყენება სწავლა-სწავლებაში ცვლილებების შესატანად, რათა უფრო მეტად მოემსახუროს მოსწავლეების საჭიროებებს.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი შეფასების სისტემა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. მასწავლებელი იყენებს შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას, ურთიერთ და თვითშეფასების რუბრიკებს, რომელსაც მოსწავლეებს წინასწარ აცნობს. **რჩევა:** სასურველია ხშირად გამოიყენოს მასწავლებელმა განმავითარებელი შეფასება, მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები უკავშირდება სამიზნე ცნებებს, უნარებსა და სასწავლო შედეგებს, კომპლექსურ დავალებებს და აჩვენებს განვითარების დინამიკას. არის სწავლა - სწავლების პროცესის ხარისხის მართვისა და მოსწავლის პიროვნული მხარდაჭერის მექანიზმი. **რჩევა:** სწავლა- სწავლების პროცესის ხარისხის უწყვეტი მართვის მიზნით მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული, საკითხებთან და ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა იმ შემოქმედებით პროდუქტზე, რომელიც დაიგეგმება კურიკულუმით. პასუხისმგებლობისა და რეფლექსიის გასაძლიერებლად აქტიურად დაინერგოს თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (კონცეპტუალური ნაწილი) 2024-2025.
- ჯიპრაიდის რესურსები
- სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საგნობრივი კურიკულუმები
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება.
- პროექტი ბიბლიოთეკის როლი სასკოლო ცხოვრებაში (სოციალური ქსელის ლინკი).
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ.
- წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგი ახალი და ძველი.
- მშობელთან ინდივიდუალურად შეხვედრის ოქმები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები საგნების და საფეხურების მიხედვითერთწლიანი
- სამოქმედო გეგმა 2024-2025
- კათედრის_ანგარიში
- კლუბი „იდეატორი“ წესდება
- კლუბი tv 16 წესდება
- კინოკლუბი გრაალის წესდება
- დანართი №138– The Enteepreneirial School Award- სამეწარმეო სკოლის ჯილდო
- პროექტი Foodathon 2024 უგანდელ ბავშებთან ერთად
- მოსწავლეთა კონფერენცია „გენდერული ძალადობა“
- პროექტი „მშობლის როლი სასკოლო საზოგადოებაში“
- პროექტი “სიმულაციები ბუნებრივი კატასტროფების დროს“
- კონფერენცია ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში
- პროექტი „მდგრადი საპნის გადამუშავების ინიციატივა“
- პროექტი „მწვანე მეწარმეების აღზრდა მდგრადი მომავლისთის“
- პროექტი „ჩვენ მათ ვჭირდებით“
- პროექტი „ჭარბტენიანი ტერიტორიების დღე“

- პროექტი „დედამიწის დღე“
- პროექტი „შავი ზღვის საერთაშორისო დღე“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში, მუხლი 6. „სასწავლო კურიკულუმის დანერგვა“, განსაზღვრულია, რომ - „სასწავლო კურიკულუმის დანერგვა გულისხმობს სასწავლო წლის დასწყისში დაგეგმილი პროცესის განხორციელებას; პედაგოგი კლასის ყველა მოსწავლეს ეხმარება შუალედურ სასწავლო მიზნების დაძლევაში; “ სკოლაში ხორციელდება მასწავლებელთა ურთიერთდასწრება გაკვეთილებზე კათედრის შიგნით და კათედრათა შორის. გაკვეთილზე დასწრების ფორმაში კი ერთ-ერთი შეფასების კრიტერიუმია: „მკაფიოა რა შუალდეურ და გრძელვადიან მიზანს ემსახურება სასწავლო პროცესი. ჩანს კონკრეტული გაკვეთილის მიმართება გრძელვადიან და საშუალოვადიან მიზნებთან“. შეფასების ინსტრუმენტებში სამიზნე ცნება არის შეფასების ორიენტირი. სწორედ ეს ფაქტორებია მთავარი ორიენტირი, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა სასწავლო პროცესს გეგმავს ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. პედაგოგები სწავლების დაგეგმვისას ეყრდნობიან კურიკულუმში მოცემულ თემატიკას, შემაჯამებელი დავალებების იდეებს, სამიზნე ცნებებსა და სასწავლო მიზნებს. თითოეული სასწავლო ერთეული წარიმართება კურიკულუმში ჩამოყალიბებული ლოგიკით, რაც უზრუნველყოფს სწავლის თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას. სკოლაში არსებული კურიკულუმები არა მხოლოდ შესაბამისობაშია სწავლების პრაქტიკასთან, არამედ მისი ძირითადი საყრდენია.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმების შესაბამისად, რაც ჩანს სკოლის მიერ მოწოდებულ მასალებში, შემოქმედებითი პროდუქტის ნიმუშებში, შეფასებებსა და შემაჯამებელ დავალებებში.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. კათედრას მტკიცებულებების სახით წარმოდგემილი აქვს მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებების/არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორცილებეული აქტივობების ამსახველი დოკუმეტაცია სადაც ჩანს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა პროექტებში, ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში, რაც ნათლად ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე ესტეტიკური აღზრდის მიმართულებით დაგეგმილი და განხორცილებეულია კურიკულუმის შესანაბისად.

სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად ხორციელდება, სასწავლო პროცესის პარალელურად მიმდინარეობს სასკოლო-სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესზე დააკვირვება და შეფასება. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, როგორ ხორციელდება სასკოლო-სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრამ წარმოადგინა ჩატარებული გაკვეთილების ამსახველი მასალა - გეგმები, მოსწავლეთა ნამუშევრები, მასწავლებელთა რეფლექსიები.
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად თითოეულ საფეხურზე. კურიკულუმის შესაბამისად განხორციელებულია თემების, სამიზნე ცნებების დამუშავება.თემების შესაბამისად შესრულებულია შემაჯამებელი სამუშაოები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები. შემოქმედებითი ბუნების დავალებებში (III, IV, VII, XII კლასები) სამიზნე ცნებები ჩასასწორებელია (ძველია), როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ეს ტექნიკური შეცდომაა.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სხვადასხვა თემასთან გაწერილია კომპლექსური დავალების პირობად შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ წარმატებით განახორციელეს სპორტული ფესტივალები (დაწყებით საფეხურზე მხიარული სტარტები, მინი ფეხბურთი. საბაზო და საშუალო საფეხურზე ფეხბურთი, კალათბურთი და ფრენბურთი), სადაც დიდი იყო მოსწავლეთა დაინტერესება და ჩართულობა, რასაც მოწმობს წარმოდგენილი ფოტო და ვიდეო მასალა.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად — თემატური ერთეულები, მიზნები და აქტივობები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებს. **რჩევა:** სასურველია უფრო მეტად მკაფიოდ გამოჩნდეს კავშირი კურიკულუმის კონკრეტულ კომპონენტებსა და დაგეგმილ აქტივობებს შორის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებითა და დამატებითი დოკუმენტებით (დაწყებითი კლასების მასწავლებლების ანგარიშები/რეფლექსიები დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებზე და კათედრის ოქმი,სამოქმედო გეგმა, გაკვეთილის გეგმები), ასევე მასწავლებლებთან

	გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, მასწავლებლებმა იმსჯელეს სასწავლო პროცესის გამოწვევებზე და გადაჭრის გზებზე (მაგ. დიფერენცირებული მიდგომები, სასწავლო პროცესის მოდიფიცირება და სხვ.). ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვანთ, რომ სკოლას სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული აქვს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესები და საჭიროებები და ასევე რეაგირებს შემხვედრს საჭიროებებზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დოკუმენტაციაში წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო საგნების შეფასების რუბრიკებით ფასდება, ზუსტად ის, რის შეფასებაც აქვს განზრახული მასწავლებელს. გაკვეთილზე დასწრების ფორმაში გამოკვეთილია თუ რამდენად იციან მოსწავლეებმა შეფასების კრიტერიუმები. ასახული შეფასების სქემები არაორაზროვანია. მრავალფეროვანი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მთავარი ფუნქციაა, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეყრდნობა ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობასა და ობიექტურობას, რაც შეესაბამება ეროვნული გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. შეფასება არ განიხილება მხოლოდ როგორც მოსწავლის შედეგის ფიქსაცია, არამედ წარმოადგენს უწყვეტ, განვითარებისკენ მიმართულ პროცესს. განსაკუთრებით გამოსარჩევია, რომ სკოლაში შემუშავებული შეფასების რუბრიკები მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ აქტივობებთან, რომელსაც პედაგოგები სწავლების პროცესში იყენებენ. თითოეული რუბრიკა ეხმიანება აქტივობის შინაარსსა და მიზანს. რუბრიკებში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლეებსა და მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნონ შეფასების

	სტანდარტებს. თითოეული შეფასება ეფუძნება მოლოდინებს და არ არის დამოკიდებული სუბიექტურ მიდგომებზე. ვერიფიკაციის დოკუმენტის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები პერიოდულად აანალიზებენ შეფასების პრაქტიკას, რაც აძლიერებს სისტემის ობიექტურობას. **რჩევა:** სასურველია უფრო სკოლამ აქტიურად გამოიყენოს შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა. ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.
უცხოური ენები	განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ძირითადად შეესაბამება მისაღწევ მიზნებსა და შედეგებს. თუმცა გამსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები უფრო კონკრეტულია, ვიდრე განმავითარებელი შეფასების. სასურველია განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების დეტალურად ჩაშლა, რაც მასწავლებელს მისცემს საშუალებას, ზუსტად განსაზღვროს მოსწავლის საჭიროებები.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს რომ სამივე საფეხურზე საგნების მიხედვით (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/მუსიკა/პროექტული სწავლება) შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საფეხურის სტანდატრის გათვალისწინებით. მოსწავლეები ფასდებიან კონკრეტულ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით მრავალფეროვანი თემის საკითხის ფარგლებში. კატედრას შემუშავებული აქვს კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები. ინტერვისუ პროცესში მოაწავლებლემა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს დეტალურად აცნობენ შეფასებბის კრიტერიუმებს კონკრეტული დავალების ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავსკვნათ, რომ სამივე საფეხურზე ესტეტიკური აღზრდის მიმართულებით შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი
სახელმწიფო ენა	ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკებს ქმნიან საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებზე, სამიზნე ცნებებსა და მისაღწევ შედეგებზე დაყრდნობით (რაც დასტურდება წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით), შესაბამისად გააზრებული აქვთ მოსწავლეთა შეფასების თავისებურებები და იციან, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა უნდა აკმაყოფილებს შეფასების პრინციპებს. ასევე, მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებული, თუ რა კრიტერიუმებით ფასდებიან; მათ გააზრებული აქვთ, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, შექმნილმა პროდუქტმა თუ ნაშრომმა. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტევიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. წარმოდგენილ შემაჯამებელი დავალებების ნიმუშებს

	ახლავს შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზებში მითითებულია ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგები, რაც ადასტურებს შეფასების ვალიდურობას. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის, რაც გამჭირვალეს ხდის შეფასებას. **მიეცათ რჩევა,** რომ მოსწავლეთათვის გამზადებულ ტესტებში ჩანდეს ესგ-თი მისაღწევი შედეგი და თითოეულ საკითხზე მითითებული იყოს შესაბამისი ქულა, რაც კიდევ უფრო გაზრდის გამჭირვალობას.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები უზრუნველყოფენ შესაფასებელი დავალების მკაფიო ინსტრუქციის შემუშავებას. მასწავლებლები შეფასებისას ყურადღებას ამახვილებენ თუ რომელ საფეხურებრივ ჯგუფს აფასებენ. მასწავლებლები წინასწარ აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ რა და როგორ შეფასდება.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი შეფასების სისტემა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. კრიტერიუმები ზუსტად არის ფორმულირებული და შესაძლებელს ხდის მოსწავლის პროგრესისა და შედეგის სანდოა ღქმას. ეს შეესაბამება სკოლის შეფასების პოლიტიკას და ეროვნულ მოთხოვნებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი კურიკულუმებისა და შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების ანალიზით იკვეთება, რომ შეფასების სისტემა უმეტეს წილად ვალიდურია დაემყარება სასწავლო მიზნებსა და შედეგებს. რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასება იყოს გამჭვირვალე და განვითარებაზე ორიენტირებული. ასევე ჩანს მცდელობა სანდოობის და სამართლიანობის უზრუნველყოფისა -გამოიყენება მრავალფორმატიანი დავალებები და შესრულების დონის აღწერა. თუმცა ობიექტურობის მიმართულებით სასურველია რუბრიკების მეტად დიფერენცირებული ფორმატებით დანერგვა, აგრეთვე თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების სისტემური გამოყენება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

   სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, პრინციპები, პროცესი , პასუხისმგებელ პირი/პირები.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სასკოლო სასწავლო გემით განსაზღვრულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვას და შენახვას 3 წლის ვადით. ამასთან, სკოლა იყენებს ელექტორნულ ჟურნალს. შესაბამისად,

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (კონცეპტუალური ნაწილი) 2024-2025.
- ინტეგრირებული გაკვეთილები
- კათედრების სამოქმედო გეგმები
- კომლექსური დავალება
- მასწავლებლების გაკვეთილის გეგმები
- სასკოლო კლუბები
- ინტეგრირებული პროექტები
- მასტერკლასი და კონკურსი ფოტოგრაფიაში (სოციალური ქსელის ლინკი)
- საფეხურების და საგნების მიხედვით შეფასების რუბრიკები
- მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი
- ხარისხის განვითარების დოკუმენტი;
- კათედრის ოქმი პირველი სემესტრის შეჯამება;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ დამატებით დოკუმენტაციში წარმოადგინა საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი საბუნებისმეტყველო საგნებში. საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალშია: • სასკოლო სახელმძღვანელოები; • დამატებითი საგანმანათლებლო (მათშორის, ელექტრონული) რესურსები; • სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელებიდასხვ.); • ლაბორატორიაში არსებული ქიმიური რეაქტივები და ჭურჭელი. აღნიშნული რესურსები საჭიროებისდა მიხედვით გაწერილია საბუნებისმეტყველო საგნის/საგნების კურიკულუმებსა და გაკვეთილის გეგმებში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები), ასევე დამხმარე რესურსები. მასწავლებლები გეგმავენ და ახორციელებენ სწავლა-სწავლების პროცესს იმგვარად, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა ფორმატისა და ტიპის რესურსების გამოყენებაში. გამოიყენება ვიზუალური, აუდიო და ციფრული მასალები, რაც ხელს უწყობს თემების უკეთ აღქმასა და მოტივაციის ზრდას. რესურსების შერჩევა და გამოყენება მიზანმიმართული და არგუმენტირებულია, ემთხვევა გაკვეთილის მიზნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს. სკოლაში ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა და სხვა მასალები, რომლებიც ემსახურება ცოდნის გაღრმავებას. სასწავლო რესურსების გამოყენება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე კლასგარეშე აქტივობების დროს. **რჩევა:** სასურველია, რესურსების შერჩევისას სკოლამ გაითვალისწინოს ცალკეული მოსწავლის ინდივიდუალური სპეციფიკა და მეტად მრავალფეროვანი დამატებითი მასალა შესთავაზოს მათ. სხვადასხვა თემების განხილვისას შეიძლება კიდევ მეტი ციფრული თუ სხვა მატერიალური რესურსის შეთავაზება, რაც სწავლის პროცესს მეტად საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის.
უცხოური ენები	ყველა კურიკულუმში მოცემულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, თუმცა სასურველია მეტი დამხმარე რესურსი, როგორც საინტერესო და მრავალფეროვანი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის ეფექტური საშუალება.

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი აქტივობების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ კათედრა გარდა ძირითადი რესურსებისა, აქტიურად იყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს (მაგ. ტელესკოლა, რეპროდუქციები, აუდიო და ვიზუალი მასალა), რაც მოსწავლეთა შედეგებზე და მათ ნამუშევრებზე აისახება.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე მოსწავლეთა ნაშრომებით დასტურდება, რომ კათედრა სასწავლო პროცესში იყენებს ყველა იმ ძირითად თუ დამხმარე მატერიალურ და ელექტრონულ რესურსს, რაც განსაზღვრულია საგნობრივი კურიკულუმებით.
მათემატიკა	სასწავლო რესურსები შეესაბამება საგნის თემატიკას და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. სკოლას ეძლევა რჩევა, ყველა საფეხურზე კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში, ასევე სახელმძღვანელოს მიეთითოს გვერდები და დაზუსტდეს ელ.მისამართები.
სპორტი	კურიკულუმებში ყველა თემასთან მიმართებით წარმოდგენილია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი ლინკების სახით: სახელმძღვანელოები, გზამკვლევები მასწავლებლებისთვის, სპორტის სხვადასხვა სახეობის ისტორია და წესები, ვიდეორგოლები, პრეზენტაციები (მათ შორის მასწავლებლების მიერ შექმნილი). მასწავლებლების თქმით მათ პერიოდულად მიჰყავთ მოსწავლეები ისტ-ის კაბინეტში ვიდეორგოლების და პრეზენტაციების სანახავად.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითადი და დამხმარე რესურსებით, რაც ხელს უწყობს სწავლების მრავალფეროვნებას. რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და ეფექტურად ინტეგრირებულია გაკვეთილებში.“ **რჩევა:** სასურველია ყველა ძირითადი თუ დამხმარე რესურსი ასახული იყოს კურიკულუმში
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია როგორც ძირითადი, ისე დამატებითი რესურსების გამოყენება. რესურსები შერჩეულია ცნებებზე, შედეგებზე და უნარებზე მორგებულად და მოიცავს ტექსტურ, ვიზუალურ, ციფრულ და პრაქტიკულ ფორმატებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ დამატებით დოკუმენტაციში წარმოადგინა ვალიდაციის წესები ბიოლოგიის საგანში. დოკუმენტში ვხვდებით შემდეგ ველებს - რას ვამოწმებთ, ვალიდაციის წესი და გამოყენების მაგალითი. თითოეული ველი დეტალურადაა გაწერილი. ეს დასტურია იმისა, რომ სკოლას აქვს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის პრაქტიკა და უზრუნველყოფს სამუშაო პროცესში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება გარკვეული პროცედურების დაცვით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივი სტანდარტებთან. სკოლაში მოქმედებს შეთანხმებული მიდგომა რესურსების შერჩევისას – მასწავლებლები განიხილავენ ახალ მასალებს. შეირჩევა მხოლოდ ის რესურსები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ, კოგნიტურ და საგნობრივ საჭიროებებს.
უცხოური ენები	დამხმარე რუსურსები, რომლებიც მოცემულია კურიკულუმებში, შეესაბამება მისაღწევ მიზნებს.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი რესურსები სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებს, ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში ძირითად რესურსად სახელმძღვანელოებია მითითებული.
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსების სანდოობის საკითხი განიხილება საგნობრივ კათედრაზე, მათმოიპოვებენსარწმუნოწყაროებიდან.
მათემატიკა	როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხორციელდება წინასწარ კათედრაზე. რასურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით საგნის პროგრამას, ეფექტურია და ეხმარება სწავლების პროცესს.
სპორტი	როგორც ინტერვიუზე გამოიკვეთა, კურიკულუმებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი მოიძიეს მასწავლებლებმა, იმსჯელეს კათედრის სხდომაზე, თუ რამდენად შეესაბამებოდა თითოეული რესურსი ეროვნულ სასწავლო გეგმას, ასაკობრივად რამდენად ადეკვატური და გასაგები იქნებოდა მოსწავლეებისათვის და დაადგინეს, რომ წარმოდგენილი სასწავლო რესურსების გამოყენება მიზანშეწონილია.
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. მასწავლებლები წინასწარ განიხილავენ შერჩეულ მასალებს პედაგოგიურ გუნდთან ერთად, შერჩევისას გათვალისწინებულია

	ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები, მოსწავლის ასაკობრივი და განვითარების დონე. ეს პროცესი უზრუნველყოფს რესურსების ხარისხს და შესაბამისობას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი. რესურსები შერჩეულია სასკოლო კურიკულუმის შინაარსის, ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, ემსახურება სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობას. გამოყენებული რესურსების შერჩევა ხორციელდება სკოლაში არსებულ დაწყებითი საფეხურის კათედრაზე. გასაუბრებისას კათედრის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შერჩევის პროცესში მასწავლებლები მაღალი პასუხისმგებლობით უდგებიან პროცესს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, თავად რესურსის ეფექტიანობას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

(მცირე კონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.)

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა ახლად აშენებულია და აქვს თანამედროვე სტანდართებით განსაზღვრული კლას-ლაბორატორიები. საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლებმა ზეპირსიტყვიერად აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლიდან აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან მოხდება სკოლაში მატერიალური რესურსების განახლება-შევსება. სკოლას, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში აქვს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი. ამასთან, სკოლა გამოთქვამს მზაობას საჭიროების შემთხვევაში დამატების შეიძინოს სხვადასხვა რესურსი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო მატერიალური ბაზით, რაც მოიცავს როგორც საბაზისო, ისე საგნობრივი და ტექნოლოგიური რესურსებს. სასწავლო სივრცეები (დაფები, მერხები, სკამები, ტექნიკა) ადეკვატურად პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობას, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და სწავლების ეფექტიანობას. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება ზღვრულ ნიშნულს, რაც შესაძლებელს ხდის ინდივიდუალური მიდგომის განხორციელებისა. სკოლა უზრუნველყოფს აუდიტორიების მორგებულობას როგორც ასაკობრივ, ასევე საგნობრივ მოთხოვნებზე. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, გაამრავალფეროვნონ გაკვეთილები ვიზუალური, პრაქტიკული და ციფრული რესურსების

	გამოყენებით. რესურსების განაწილება ხდება კურიკულუმის შესაბამისად მოსწავლეთა საჭროებების გათვალისწინებით.
უცხოური ენები	გამომდინარე იქედან, რომ სკოლის მიზანია, მოსწავლეებს შეუქმნას სათანადო მატერიალური რესურსი, რათა მისცეს თანამედროვეობის შესაბამისი განათლება და მოამზადოს ისინი დაუკიდებელი ცხოვრებისთვის, ის ზრუნავს იმ საჭირო რესურსებზე, რომლებიც აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის აუცილებელია. მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. რაც ასევე გათვალისწინებულია უცხოური ენების სწავლა-სწავლების პროცესშიც.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოგდენილი მტკიცებულებებიდან შესაძლებელია დავსკვნათ, რომ სახვით და გამოყენებით ხელოვნაბში/მუსიკაში/პროექტულ სწავლებაში სამივე საფეხურზე (დაწყებითი,საბაზო, საშუალო) სასწავლო შედეგები და შემოქმედებითი პროცესები უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით ასევე სკოლა სრულიად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის დაკმაყოფილებას მატერიალური რესურსით.
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, შექმნილია სათანადო გარემო სწავლის შედეგების მისაღწევად.
მათემატიკა	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები, კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ.რესურსებს, სკოლას გააჩნია კარგი კომპიუტერული ბაზა, რაც აკმაყოფილებს მოსწავლეთა რაოდენობას და სრულად ხელმისაწვდომია მათთვის. გარადა ელ.რესურსებისა იყენებენ მატერიალურ რესურსებს, რომლებიც არაა შეტანილი კურიკულუმში. ყველა ამ მატერიალური რესურსის გამოყენება ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ეფექტურონას, მოტივაციის ამაღლებას და სწავლის შედეგების მიღწევას.
სპორტი	სკოლას გააჩნია თანამედროვე და მოწესრიგებული სპორტული ინფრასტრუქტურა. როგორც სპორტის დარბაზი, ასევე გარე სპორტული მოედანი აღჭურვილია ფეხბურთის კარებით, კალათბურთის ფარებით, ფრენბურთის ბადით. აქვთ ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი (ბურთები, ბარიერები). დარბაზის იატაკი და გარე სპორტული მოედანი დახაზულია შესაბამისად. დარბაზში დამონტაჟებულია ტანვარჯიშული კედელი. სპორტის დარბაზს და გარე სპორტულ მოედანს გააჩნია ტრიბუნები მაყურებლისთვის. სკოლის

	სპორტული ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას მასწავლებლებმა განახორციელონ კურიკულუმით დაგეგმილი ყველა აქტივობა.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური რესურსებით, რომლებიც შესაბამისია მოსწავლეთა ჯგუფების ზომისა დაადგილების ზღვრული რაოდენობის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი (ფიზიკური ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, დამატებითი სასწავლო რესურსები) და რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა საკმარისია კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. წარმოდგენილი კურიკულუმებისა და შესაბამისი რესურსების ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელი ხდებაარსებული მატერიალური რესურსების ბაზის პირობებში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, მაგრამ ესთეტიკური აღზრდის და სპორტის კათედრაზე დაწყებით საფეხურზე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და სპორტში ასწავლის დაწყებითი საგნის მასწავლებელი.

დაწყებით საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და სპორტის მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა დაწყებითი საფეხურის 2.2.2.4 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.09.2025. შესაბამისად, ინდკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში დაწყებით საფეხურზე ხელოვნებასა და სპორტში უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებისათვის საათების განაწილება.</u>

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (კონცეპტუალური ნაწილი) 2024-2025.

- ჯიპრაიდის რესურსები
- სამივესაფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საგნობრივიკურიკულუმები
- პროექტიბიბლიოთეკისროლისასკოლოცხოვრებაში (სოციალურიქსელისლინკი).
- ბიბლიოთეკა
- შეფასებისრუბრიკებისაგნებისდასაფეხურებისმიხედვით
- სკოლის შენობისა და სხვადასხვა სივრცის ფოტოები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ჩარჩო/გეგმა, განსაზღვრულია კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართული სასკოლო საზოგადოება (მასწავლებელი, საგნობრივი კათედრები, დირექცია). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას აქვს წარმოდგენილი მკაფიო ხედვა, სადაც მონიტორინგს და შეფასებას განიხილავს სასწავლო პროცესის თანმდევ მექანიზმად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილო დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს, რომ სკოლაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგო და შეფასება, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და წახალისებაზე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგები , მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმეტში გაწერილია რომ გადაწყვეტულებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე, ამ ჩანაწერის შესაბამისად შესაძლებელია დავასკვნა, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგგის დამტკიცება.
- გაკვეთილზე დაკვირვ. ფორმა.
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის განვითარების დოკუმენტი
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი.
- კათედრების სამოქმედო გეგმები

- სკოლის მიერ გამოცდილების გაზიარება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაიდან დასტურდება, რომ სკოლა შეფასებისას ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს მაგ. სადამრიგებლო პროგრამებში, პედაგოგიურ საბჭოს/კათედრის /მშობელთა ოქმებში განხილული მოსწავლეთა მიღწევები და გამოკვეთილი პრობლემები/დაგეგმილი ინტერვენციები. აღნიშნული დასტურდება აგრეთვე მასწავლებლებთან/სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს შედეგად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სასკოლო გეგმაში განსაზრვრულია შეფასების ფორმები, სადაც შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს რომ, სკოლას აქვს მზაობა შეფასება მოახდინოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით მაგალითად, მოსწავლის მიღწევების/საჭიროებების, მისი სოციალურ და ფსიქ-ემოციურ მდგომარეობის მონიტორინგით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ნათლად ჩანს სკოლის მზაობა და ხედვა მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების შესახებ მაგალითად, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი,თვითშეფასება. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სამივე საფეხურზე შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. საგაკვეთილო პროცესში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია და სხვა. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. წარმოდგენილი მასალებიდან, მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სამივე საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. შეფასება ხდება მოსწავლის ფსიქო-სოციალური, ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა (კონცეპტუალური ნაწილი) 2024-2025.
- სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლების გაკვეთილის გეგმები
- მასწავლებლების ინდივიდუალური ანგარიშები
- მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა მიმდინარეობს მონიტორინგის შეფასების გათვალისწინებით, კურიკულუმის მეთოდოლოგიაში წარმოდგელია, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგად სკოლა შექმნის რეკომენდაციების პაკეტს სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ კურიკულუმის მეთოდოლოგიაში სკოლას აქვს წარმოდგენილი ხედვა თუ როგორ განახორციელებს კურიკულუმის რევიზიას და შექმნის გადამუშავებულ ვერსიას. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ 2024-2025 სასწავლო პროცესი დაიგეგმა წინა წლის საუკეთესო პრაქტიკისა და გამოწვევების გათვალისწინებით. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 30.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი:

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი:

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი:

უცხო ენების საგნობრივი ექსპერტი:

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი:

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი:

სპორტის საგნობრივი ექსპერტი:

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი:

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი: